ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.5

„დერეფნიდან დედა შემაგინა, ავდექი და მეც გავედი, ამას მოჰყვა ხელჩართული ჩხუბი“

ექიმ გიორგი მაღალაშვილს სცემეს

20 ნოემბრიდან

მარგარეტ ტეთჩერი

როგორც თავად იტყოდა




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 2019

№276 (8230)

ფასი: 60 თეთრი

# გიორგი რურუა პროკურორ ვასილ სამხარაძეს ბოტასს ჩუქნის



გვ.2

მოსამართლე ხორავამ რურუას ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა

## გედევან ფოფხაძე: „ოცნების“ ხელისუფლების ადგილი ციხეშია!“

გვ.3



„მე მათთან ყველანაირი ურთიერთობა და დიალოგი დავამთავრე“

## დავით ქაცარავა: „ხელისუფლება იარაღის ჩადებას და დაპატიმრებას მიპირებს“



გვ.2



## გურამ ჩალაგაშვილი: „უნდა გავიგოთ, ვინ მისცა ჩვენება ოქრუაშვილის წინააღმდეგ“

გვ.2

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „პოლიციელები სასამართლოში ისეთ სისულელეებს ამბობდნენ, რომ შსს-ს იურისტებსაც კი ეცინებოდათ“



გვ.3

## თენგიზ დიხამინჯია: „ვაჟა გაფრინდაშვილი ზესახელმწიფოებრივი ფასეულობების მატარებელი ადამიანია“

გვ.4





## უჩა ნანუაშვილი: „37 წელიც არ არის შორს“

გვ.3

„ოქრუაშვილის მიმართ როცა გაჩნდა პოლიტიკური ინტერესი, მაშინ დაიწყეს ბრალის წარდგენა“

## სუსის უფროსი ქვეყნის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს შეხვდა



გვ.4

ISSN 1987-9385

5 ლაშა ქიღლაძემ საქალაქო სასამართლოსთან თავის დაწვა სცადა

4 გიგა ბუკია: „სადაც ოქრიაშვილს ივანიშვილზე მეტი წონა აქვს, იმ უმრავლესობაში ვერ დავრჩებოდით“

5 საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხანძრები ლიკვიდირებულია

6 ირანში საპროტესტო აქციების დროს 200-მდე ადამიანი მოკლეს

# გიორგი რურუა პროკურორ ვასილ სამხარაძეს ბოტასს ჩუქნის

## მოსამართლე ხორავამ რურუას ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა



– როგორც თქვენ არ გინახავთ, ისე არ მინახავს მეც იარაღი.

ასე მიმართა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულმა, „მთავარი არხის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გიორგი რურუამ, სასამართლო პროცესზე მოსამართლე რომან ხორავას.

სასამართლო გუშინ, 20 ნოემბერს, გაიმართა.

გიორგი რურუას თქმით, დაკავების მერე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ადვოკატთან დარეკვის უფლებას არ აძლევდნენ.

– როგორც თქვენ არ გინახავთ, ისე მე არ მინახავს იარაღი. ჩხრეკა არ ჩატარებულა და მეუბნებიან, რომ იარაღი ამოიღეს, – აღნიშნა რურუამ.

მოგვიანებით მანვე განაცხადა, რომ პროკურორ ვასილ სამხარაძეს თავის ბოტასს ჩუქნის.

– მას შემიძლია ბოტასი ვაჩუქო, მისთვის გასაგები იქნება, – აღნიშნა გიორგი რურუამ.

ის თავს სახელმწიფოსგან დაზარალებულად ცნობს და აღნიშნავს, რომ პოლიციის მხრიდან მასზე ხდება ზეწოლა.

– მე თავს ვცნობ დაზარალებულად სახელმწიფოს მიერ, პროკურატურიდან. პოლიციის მიერ არის ჩემზე ზეწოლა. მე პრინციპების კაცი ვარ და აუცილებლად გავაგრძელებ ბრძოლას, აუცილებლად დავიხსნით იმ ერთი კაცისგან ქვეყანას, – განაცხადა გიორგი რურუამ.

„ევროპული საქართველოს" ლიდერის, დავით ბაქრაძის, თქმით,

ნებისმიერ თავმოყვარე სასამართლოში ეს პროცესი დასრულდებოდა 15 წუთში.

– აბსოლუტურად ნათელია, რომ საქმე გვაქვს ადამიანისთვის იარაღის ჩადების მცდელობასთან, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მან პროცესზე პროკურორის გამოსვლას სამარცხვინო უწოდა.

– პროკურორი ვერ პასუხობს კითხვას, სად ამოიღეს იარაღი – ქუჩაში თუ მანქანაში. პროკურორმა აგვიხსნა, რომ მანქანა და ქუჩა არის ერთი და იგივე იმიტომ, რომ მანქანა დგას ქუჩაში. ამ ლოგიკით, შენობებიც დგას ქუჩაში და ე.ი. ყველა ქუჩაში ვართ. პროკურორი ვერ ამბობს, საიდან ამოიღეს იარაღი. პროკურორი ვერ ამბობს, რატომ არ არის დაფიქსირებული ოქმში იარაღის ნომერი. იარაღი არის უნომროდ ოქმში გატარებული და იარაღის ტიპიც არ არის დაფიქსირებული, – აღნიშნა ბაქრაძემ.

რაც შეეხება პროკურორის მიერ სასამართლოს სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ რურუას თავის სახელზე რეგისტრირებული აქვს 48 სხვადასხვა კატეგორიის იარაღი ტარების უფლებით, ბაქრაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული იარაღები, როგორც გიორგი რურუას ოჯახის წევრები აცხადებენ, მისი ძმის, ნიკა რურუას, იარაღის კოლექციაა.

– კანონიერად იარაღის ფლობა დანაშაული არ არის და მისი ოჯახის წევრები ამბობენ, ეს მისი ძმის, ნიკა რურუას, იარაღის კოლექციაა, რომელიც მან ერთი კვირის წინ გადმოიფორმა.

რამდენი გადმოიფორმა, არ ვიცი, მაგრამ რამდენიც არ უნდა ყოფილიყო, ქვეყანაში იარაღის ფლობა დანაშაული არ არის, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

საბოლოოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და გიორგი რურუას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე რომან ხორავამ გამოაცხადა.

– ბიძინა ივანიშვილის მონები ხართ, – გაისმა სასამართლო დარბაზში გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ.

გიორგი რურუა სამართალდამცავებმა 18 ივნისს, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

გიორგი რურუას, სხვა ადვოკატებთან ერთად, ნიკა გვარამიაც იცავდა.

# დავით ქაცარავა: „ხელისუფლება იარაღის ჩადებას და დაპატიმრებას მიპირებს"

nona cabaZe

**გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება „ძალა ერთობაშიას" დამფუძნებლის დავით ქაცარავას დაპატიმრებას გეგმავს. დავით ქაცარავამ სუს-ის შენობასთან განცხადება გააკეთა. „ახალი თაობა" დაუკავშირდა დავით ქაცარავას.**



***– ბატონო დავით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი დაკავება იგეგმება.***

– მაქვს ინფორმაცია, რომ აპირებენ დაახლოებით იმ ქმედებების განხორციელებას ჩემთან მიმართებაშიც, რაც განახორციელეს გიორგი რურუას შემთხვევაში. ანუ იარაღის ჩადებას და ამის საფუძველზე ჩემს დაკავებას. ჩემი დაკავება ახლა, არ უკავშირდება ამ აქციებში მონაწილეობას და ასე შემდეგ. უფრო საფუძვლიანი და გრძელვადიანი გეგმები აქვთ ჩემთან დაკავშირებით.

***– საოკუპაციო საზღვარზე უშლით ხელს?***

– დიახ, სწორედ რომ ასეა. ბუნებრივია, ეს პირველ რიგში უკავშირდება საოკუპაციო ხაზთან ჩვენს აქტივობას და ასევე ალიზიანებთ ჩვენი აქტიურობა ანტისახელისუფლო აქციებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აბსოლუტურად კორექტულები ვართ, არ ყოფილა არანაირი მოწოდება გადატრიალებისკენ და ასე შემდეგ, ჩვენ ვართ აბსოლუტურად კორექტულები, ამის მიუხედავად, ჩვენ ხელისუფლებისთვის ყელში გაჩხერილი ძვალი გავხდით და იგეგმება ჩვენი განეიტრალება.

***– ეს ინფორმაცია სანდო წყაროსგან გაქვთ?***

– ეს არის ძალიან სანდო წყაროსგან. თან რამდენიმე დამოუკიდებელი წყაროსგან მიღებული ინფორმაცია და გაფრთხილება. ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. ამ ყველაფერთან ერთად, არის გზავნილი, რომ ხელისუფლება მზად არის განახორციელოს ზეწოლა ჩემი ოჯახის წევრებზეც. ესეც ერთი მძიმე და სერიოზული გარემოებაა და ამან გადამაწყვეტინა ასეთი სახის პრევენციას მივმართო.

***– უნდათ, რომ უკანონო იარაღის ტარებისთვის დაგაკავონ?***

– დიახ, ასე გეგმავენ. ასევე მინიშნებაა, რომ საჭიროების შემთხვევაში დამემუქრნენ ოჯახის წევრებითაც.

***– თქვენ თუ გაქვთ იარაღი?***

– მე რეგისტრირებული იარაღი მაქვს, კი ბატონო. ბუნებრივია, ამისთვის ვერ დამაკავებენ, ამიტომ აპირებენ უკანონო, არარეგისტრირებული ე.წ. შავი იარაღი ჩამიდონ.

***– დავით, რას იტყვით 19 ნოემბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, გუშინ თქვენი მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა ბენზინი გადაისხა და თავის დაწვას ცდილობდა. რა მოხდა, რა უძღოდა წინ ამ ინციდენტს?***

– ლაშა ჭიღლაძემ, რომელიც ჩვენი მოძრაობის აქტიური წევრია, საკუთარ ფეისბუქზე დადო ასეთი ინფორმაცია, რომ მასზე ხორციელდება ზეწოლა პოლიციელების მხრიდან და აქვს ინფორმაცია, რომ უპირებენ იარაღის ჩადებას და დაჭერას. ცოტა მოგვიანებით მან კიდევ ახალი პოსტი დადო, სადაც ის ამბობდა, რომ მიიღო გადაწყვეტილება მიემართა პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის და თავის დაწვა გადაწყვიტა, მთელი იმ ფონიდან და იმ უსამართლობიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. ეს ზეწოლები, დაჭერები, ტერორი და ასე შემდეგ. სიმართლე გითხრათ, მისი მუქარა სერიოზულად ვერ აღვიქვი.

***– თქვენ არ მიიღეთ რაიმე ზომები?***

– არ მეგონა, ამ ზომამდე თუ იყო მისული. დავურეკეთ, ვთხოვეთ, რომ მოსულიყო და ჩვენთან ერთად ყოფილიყო, რათა დავხმარებოდით მას ამ მძიმე ფონის გადასალახავად. ჩვენ სასამართლოში ვიყავით მაგ დროს და არ მოგვეცა მასთან კომუნიკაციის საშუალება. მოვიდა სასამართლოს ეზოში, იყო არაადეკვატური და ძალიან გამწარებული. მაშინვე გაემართა შუა ეზოში და თავზე ბენზინი გადაისხა. ფიქრის დრო აღარ იყო, ვეცი და შევაჩერე. მერე პოლიციაც მოვიდა და გაგვაცალკევეს. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ლაშა დააკავეს.

***– რატომ?***

– დააკავეს თვითმკვლელობის მცდელობისთვის. როგორც ვიცი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება ამაზე და 500-ლარიანი ჯარიმა.

# „უნდა გავიგოთ, ვინ მისცა ჩვენება ოქრუაშვილის წინააღმდეგ"

## ოპოზიციამ პროკურატურას ბოქლომი დაადო

ნონა ცაბაძე

**ოპოზიციის ლიდერები პროტესტს არ წყვეტენ. ისინი დანაპირებს ასრულებენ და სხვადასხვა უწყებებს ბოქლომს ადებენ. გუშინ, 20 ნოემბერს, 3 საათზე ოპოზიციის ლიდერები გენერალურ პროკურატურასთან მივიდნენ და პროკურატურის კარს სიმბოლურად ბოქლომი დაადეს. პროკურატურასთან სხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან ერთად იმყოფებოდა ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი, რომელიც, სხვა ლიდერებთან ერთად, ირაკლი ოქრუაშვილისთვის ახალი ბრალის წაყენებას აპროტესტებდა.**

***– ბატონო გურამ, საკმაოდ ხმაურიანი გამოვიდა თქვენი პროტესტი გენერალურ პროკურატურასთან.***

– მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა განაცხადა, რომ ყველა მინუს ერთი. ეს იქნება მანამ, სანამ ივანიშვილი არ მოშორდება ამ ქვეყანას და ამ ხელისუფლებას. შესაბამისად, ჩვენ დავაანონსეთ აქციები და ეს აქციები გაგრძელდება პერმანენტულად, ყოველდღიურად.

***– შემდეგი გეგმა როგორია?***

– წინასწარ ამას ვერ დავაანონსებთ და ვერაფერს ვიტყვით. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ჩვენ, ლიდერებმა ვიცოდით, რას ვაპირებდით, ალბათ ყველამ ნახა, რამდენი პოლიციელი დაგვხვდა პროკურატურასთან. კართანაც არ გვიშვებდნენ, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ბოქლომი დაგვედო კარისთვის.

***– ანუ იცოდნენ თქვენი გეგმები?***

– ასე გამოდის. ყველაფერი ზეპირად იცოდნენ.

***– საიდან გადის ეს ინფორმაციები?***

– ძნელია იმის თქმა, თუ საიდან გადის ეს ინფორმაციები, თუმცა ფაქტია, რომ იცოდნენ. ჩვენზე გაცილებით მეტი პოლიციელი იდგა იქ.

ეს არის შენობა, რომელსაც ხელმძღვანელობს უდიპლომო თადუმაძე და სადაც სხედან პროკურორები, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ნებისმიერი ბრძანება, ხელმძღვანელის მიერ გაცემული. ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე შეუძლიათ გაწირონ ნებისმიერი ადამიანი ციხისთვის.

ესენი არიან რობოტები, რომლებიც უტიფრად ლაპარაკობენ შავზე, რომ არის თეთრი. ამ ადამიანებმა ყველაფერი იკადრეს, ჯერ კობა კოშაძეს ჩაუდეს იარაღი, შემდეგ ირაკლი დაიჭირეს, მერე გიორგი რურუას ჩაუდეს იარაღი. ირაკლის წარუდგინეს კიდევ ახალი ბრალი

***– ამ ახალი ბრალის შესახებ რას იტყვით? ბუტა რობაქიძის საქმეზე წარედგინა ბრალი.***

– ეს არის თითიდან გამოწოვილი და რაღაც შეთითხნილი ბრალდება, თითქოს 15-16 წლის წინ მან დანაშაული ჩაიდინა. იმ ფაქტზე, ძალიან ცუდ და სამწუხარო ფაქტზე, რომელიც მაშინ მოხდა, ოთხი ადამიანია გასამართლებული. ორმა უკვე სასჯელი მოიხადა და დონაძე და მიქაძე დღესაც პატიმრები არიან.

იმ მკვლელობის პერიოდში ირაკლი უკვე თავდაცვის მინისტრი იყო. ირაკლის მიცემული ჩვენება დაადასტურეს დონაძემაც და დანარჩენებმაც. შავით თეთრზე წერია მათი ჩვენებები, სადაც ისინი ამბობენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ამ საქმესთან შემხებლობა არ ჰქონია, რომ ირაკლის არანაირი ბრძანება არ გაუცია და ხელი არავისთვის დაუფარებია.



***– მაშინ რა მოხდა, რა შეიცვალა?***

– უნდათ, რომ შეაშინონ, რაც არ გამოუვათ. ასევე, რაც ყველაზე მთავარია, გვაქვს ინფორმაცია და ზუსტად ვიცით, რომ ივანიშვილის პირველი უკან გადადგმული ნაბიჯი და უკანდახევა ის არის, რომ ის 20 ივნისის საქმეზე დაკავებულების გათავისუფლებას გეგმავს.

შესაბამისად, ეს ადამიანები რომ გამოეშვათ და ირაკლი დაეტოვებინათ, ეს არ გამოვიდოდა, შესაბამისად, ირაკლის ეს მოუგონეს და ახალი ბრალი წარუდგინეს. დღეს ან ხვალ უკვე ალბათ მიუსჯიან აღმკვეთ ღონისძიებას, რიგითი მომდევნო მონა მოსამართლე ორთვიან პატიმრობას მიუსჯის მას.

ოქრუაშვილს ამ ბრალდებით დატოვებენ პატიმრობაში და ბიძინა ივანიშვილი დასავლეთის წინაშე თავს გაიმართლებს, რომ აი, მე გავათავისუფლე 20 ივნისის პატიმრები, ირაკლი ოქრუაშვილი კი გავათავისუფლე 20 ივნისის გამო, მაგრამ მას თურმე სხვა დანაშაულიც ჩაუდენია. აი, ეს არის სულ ამ საქმის თავი და ბოლო.

***– ანუ ეს არის მიზეზი, რომ ოქრუაშვილი დატოვონ პატიმრობაში?***

– რა თქმა უნდა, ეს არის. ივანიშვილის სურვილია, რომ ირაკლის მოაშოროს პოლიტპატიმრის სტატუსი – ეს მისთვის ძალიან მტკივნეულია, რადგან ამის გამო სერიოზულ წნეხს განიცდის. უნდა, რომ ირაკლი წარმოაჩინოს როგორც ჩვეულებრივი კრიმინალი და თანამდებობის ბოროტად გამომყენებელი. ამის კი არავის სჯერა.

პროკურატურასთან მთელი ოპოზიციური სპექტრი ამას აპროტესტებდა. ყველა ერთხმად ამბობს, რომ ეს არის თეთრი ძაფით ნაკერი საქმე.

***– ვინ მისცა ჩვენება ირაკლის წინააღმდეგ?***

– ახლა მთავარია, ეს გავიგოთ. ეს ვერ იქნება რიგითი პოლიციელი, ძალიან მნიშვნელოვანია, ვისი ჩვენების საფუძველზე წარუდგინეს ბრალი. არის დიდი ეჭვი, რომ რომელილაც მაღალჩინოსანს აქვს მიცემული მის წინააღმდეგ ჩვენება.

თუ პატიმრობაში არიან, ალბათ პატიმრობისგან გათავისუფლებას მიიღებენ სანაცვლოდ. თუ პატიმრობაში არ არიან, მაშინ მიიღებ ჩეკს ძალიან ბევრი ნულით. წესით, მალე ჩაინიშნება პროცესი და მასალებსაც გავეცნობით.

გავიგებთ, ვინ დატოვა ირაკლი ციხეში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პოლიციელები სასამართლოში ისეთ სისულელეებს ამბობდნენ, რომ შსს–ს იურისტებსაც კი ეცინებოდათ“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩვენ არაფრის არ გვეშინია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.**

***– დიმიტრი, მთელმა საზოგადოებამ ნახა, რაც ხდებოდა საქალაქო სასამართლოში. ერთი მოსამართლე განიხილავდა 18 ნოემბერს დაკავებული 38 პირის საქმეს, რაც მთელი ღამე გაგრძელდა.***

– ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილს, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, ჯიბეში უდევს სასამართლო ხელისუფლება. არავითარი გადაწყვეტილების მიმღები ეს მოსამართლე არ იყო და ხშირ-ხშირად აცხადებდა შესვენებას, რომ დირექტივები მიეღო.

მას ჰქონდა პირდაპირი დავალება, რომ ჩვენ უნდა დავეტოვებინეთ ადმინისტრაციულ პატიმრობაში. ხოლო საქმის მასალები, თუნდაც პოლიციელთა ჩვენება, ამას ვერ უზრუნველყოფდა.

***– არ ჰქონდათ მასალები?***

– საერთოდ ვერაფერს ამბობდნენ პოლიციელები და ვერც საქმის მასალებიდან ირკვეოდა ვერაფერი. რეალურად ეს პოლიციელები არ ყოფილან ჩვენი დამკავებლები. მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, სად დაგვაკავეს, რა ვითარებაში, რეალურად ვიგინებოდით თუ არ ვიგინებოდით, ვხმარობდით თუ არა ძალას პოლიციაზე და ასე შემდეგ. ან კანონისკენ თუ მოგვიწოდეს და ჩვენ არ დავემორჩილეთ, ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ისეთი სისულელეები ილაპარაკეს პროცესზე, რომ თავად შს სამინისტროს იურისტებსაც კი ეცინებოდათ.

პირდაპირ ვთქვათ, სახელმწიფომ დაგვსაჯა იმის გამო, რის გამოც ვიდექით იქ. დაკავებაზე კი არ არის საუბარი, ამაზე სიტყვა რანაირად უნდა დაგვცდეს, სულ რომ პატიმრობაში გაგვიშვან, ხალხმა თვალები დაკარგა და სისხლი დაღვარა, მაგრამ აქ მთავარი რა არის, იცით? ისე გვიშვებდნენ საპატიმროში, რომ ეს ბრძანება მოსამართლეს თავიდანვე ჰქონდა მიღებული. ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვენი დასჯა. რის გამო? იმის გამო, რომ ვიდექით და ვაპროტესტებდით.

***– ძირითადად ახალგაზრდული ფრთის ლიდერების დაკავება მოხდა?***

– კი, ასე იყო და განა ისეთს რას ვაპროტესტებდით?! ვითხოვდით პროპორციულ არჩევნებს, რომელიც სისხლით მოვიპოვეთ, რომელსაც თავად ბიძინა ივანიშვილი შეგვპირდა.

ჯერ ხომ გადაგვაგდო ივანიშვილმა, მერე მოვიდა, დაგვარბია და მერე დაგვიჭირა ყველანი. დაგვიჭირა იმის გამო, თუ რატომ ვიცავდით იმას, რასაც თავადვე შეგვპირდა.

არა მარტო ჩვენ დაგვპირდა, გაეროს ტრიბუნაზე იდგნენ ადამიანები და ყვებოდნენ, როგორი დემოკრატიაა და როგორ ატარებენ პროპორციულ არჩევნებს. აი, ამ ცირკში და ამ მარაზმში გვიწევდა სასამართლოზე ყოფნა მთელი დღე და ღამე.

***– რატომ გაუჭირდა მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანა?***

– ერთი მხრივ, ივანიშვილის დავალება იყო ჩვენი დაჭერა და მეორე მხრივ, მოსამართლეს ამის არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდა.

საერთოდ არ მაინტერესებს, დაგვაკავებენ თუ არა ადმინისტრაციული სასჯელით. გაიგოს ივანიშვილმა, რომ ამით ახალგაზრდებს ვერ შეგვაშინებს. ახალგაზრდებმა თვალები დაკარგეს, სისხლი დაღვარეს, გავრილოვის პატიმრები გვყავს ქვეყანაში და ამ ყველაფრის მერე როგორ უნდა შეგვეშინდეს?! არ გვეშინია!

ყველგან მივალთ, სადაც იქნება ივანიშვილი, სადაც იქნება „ქართული ოცნება“ და ვეტყვით, რომ მათ არ აქვთ არანაირი ლეგიტიმაცია. ისინი გადასული არიან პოლიციურ რეჟიმზე. პოლიციაც დაიღლება და მოშორდება მათ. აი, მერე ნამდვილად დაინიშნება ვადამდელი არჩევნები და მოშორდება ეს ხელისუფლება.

***– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

– ამ დაკავებით ჩვენ უფრო მეტი მოტივაცია მივიღეთ, რომ ვებრძოლოთ ამ რეჟიმს. ჩვენ არ გვეშინია. ყოველდღე მივალთ ბიძინა ივანიშვილთან და მივალთ „ოცნების“ ოფისთან. სანამ ეს ადამიანები არ წავლენ ხელისუფლებიდან, მანამდე ვიქნებით აქტიურები.

***– გაჩნდა ის ვარაუდიც, რომ შესაძლოა წამოვიდნენ დათმობაზე და თავიდან შემოიტანონ პროპორციული პარლამენტში განსახილველად. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ეს უკვე აღარ არის მათი კეთილი ნება, ეს არის ქართველი ხალხის დაკვეთა. შეასრულებენ ეს ადამიანები, მათთვის უკეთესი და არ შეასრულებენ და ძალიან ცუდად დაამთავრებენ. იმაზე მალე დაამთავრებენ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს ჰგონია. ქართველმა ხალხმა ის უკვე გაუშვა პოლიტიკურ სანაგვეზე და საერთოდ აღარ ეკითხება მას აზრი. წაბრძანდებიან სახლში და ქართველ ხალხს დაუბრუნებენ იმ ძალაუფლებას, რომელიც მოჰპარეს.

***– გაქვთ მათი კეთილგონიერების იმედი?***

– ნამდვილად არ მაქვს. მათ კეთილგონიერება არასოდეს გამოუჩენიათ, არასოდეს მიუღიათ ხალხზე ორიენტირებული გადაწყვეტილება. თუმცა ივანიშვილს გამუდმებით ეშინია ქართველი ხალხის, მისი ძალის. თუ ხალხი მასობრივად გამოდის ქუჩაში, ის აკეთებს იმას, რისი სურვილიც ხალხს აქვს.



ეს დაგვანახა 20-21 ივნისის მოვლენებმა. ამიტომ ივანიშვილმა გაწირა კობახიძეც და გვითხრა, რომ პროპორციულ არჩევნებს ჩაატარებდა.

***– გაწირავს ივანიშვილი კიდევ გუნდის წევრებს?***

– ივანიშვილმა ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნოს და ყველას გაწირავს. არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მაღალჩინოსანი მოიშოროს და დააკავოს.

დღეს „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული კრიზისია. ყველაზე უკეთ თავად იციან, რომ „ოცნება“ დასრულებულია. აჯობებს, ამ ადამიანებმა მალე დატოვონ ივანიშვილი და არ ჩაყვნენ მას პოლიტიკურ საფლავში.

ჩვენი პროტესტი გაგრძელდება მანამ, სანამ ივანიშვილი არ დატოვებს იმ ძალაუფლებას, რომელიც ხალხისგან მიიტაცა.

# გედევან ფოფხაძე: „ოცნების“ ხელისუფლების ადგილი ციხეშია!“

## „მე მათთან ყველანაირი ურთიერთობა და დიალოგი დავამთავრე“

ნათია ხურცილავა



**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ რეალობას? მომხდარზე ხელისუფლების პასუხია, ოპოზიცია მოემზადოს არჩევნებისთვის. თვითონ კი ვაკანტურ თანამდებობებზე ახალ ხელმძღვანელებს ნიშნავენ.***

– რეალურად ხელისუფლების დელეგიტიმაცია მოხდა იმის შემდეგ, რაც მათ საჯაროდ მოატყუეს მთელი საზოგადოება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ამის შემდეგ არანაირ ნდობასა და ლეგიტიმაციაზე საუბარი არ შეიძლება.

ჩემთვის ხელისუფალის მხრიდან ასეთი ტყუილი გაუგონარია. ხალხის ნდობით აღჭურვილი ხელისუფლება არ გვყავს და, შესაბამისად, ავტორიტარიზმისკენ მივდივართ. ამის ყველა ელემენტი და ნიშანი სახეზეა.

ქვეყანაში არანაირი დემოკრატიული პროცესი აღარ არსებობს. რამდენიც უნდათ, იმდენი ახალი ხელმძღვანელი დანიშნონ თანამდებობებზე, მათი საქმე დამთავრებულია.

ფორმალურად საუბარი იმაზე, რომ აქცია ეფექტურად დაშალა თუ სასტიკად, ეს უკვე სასაცილოა. ძალოვანი სტრუქტურები ხალხს კი არ იცავს, უზურპატორ ხელისუფლებას იცავს.

***– უმრავლესობა დღეს აცხადებს, რომ ისინი არავის არაფერს შეპირებიან, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით არც ერთი ხელმოწერილი დოკუმენტი არ არსებობს.***

– აბა, ბიძინა ივანიშვილის ოფიციალური განცხადება საპირველაპრილო ხუმრობა იყო?! თუ ხალხს ეხუმრებოდა, მაშინ პირველი აპრილი შეერჩია ამ განცხადების გასაკეთებლად. რა მესიჯბოქსიც და რა გზავნილებიც არ უნდა შეიმუშაონ, უკვე გვიანია, აღარაფერი აღარ უშველით.

მე ვიყავი „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში და ვიცი, იქ ბიძინა ივანიშვილის სიტყვას რა ძალა და ფასი აქვს. ვერავის დააჯერებენ და დაარწმუნებენ, რომ დაჩი ბერაიამ და მერაბ ქვარაიამ შეძლეს ამ პირობის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# უჩა ნანუაშვილი: „37 წელიც არ არის შორს“

## „ოქრუაშვილის მიმართ როცა გაჩნდა პოლიტიკური ინტერესი, მაშინ დაიწყეს ბრალის წარდგენა“

იაგო ნაცვლიშვილი

**რამდენად პროპორციული ძალა გამოიყენა შსს-მ მომიტინგეების წინააღმდეგ? რამდენად სამართლიანად მიდის პროცესი და კიდევ ერთხელ ხომ არ გამოჩნდა, რომ 20 ივნისის აქციის დარბევა სადამსჯელო ოპერაცია იყო? — ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საუბრობს:**

***– ჩაიარა ემოციურმა ფონმა და მშვიდ გონებაზე შევაფასოთ ვითარება. რამდენად სწორად იმოქმედა შსს-მ უშუალოდ აქციის დაშლის დროს? ხომ არ იყო ძალა გადამეტებული?***

– აქციის დაშლის ლეგიტიმური საფუძველი არსებობდა, როდესაც ვსაუბრობთ შენობების პიკეტირებასა და ბლოკირებაზე, თუმცა უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ ძალის გამოყენებასაც აქვს თავისი საზღვრები და ფარგლები. ჩვენ ამ შემთხვევაში დავინახეთ, რომ პროპორციული არ იყო ის ძალა, რომელიც გამოიყენეს. იმის გამო, რომ მომიტინგეების რაოდენობა საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო და არ არსებობდა სპეცსაშუალებების გამოყენების საჭიროება.

იგივე წყლის ჭავლის გამოყენება მოხდა, მოხდა დაკავება – 37 ადამიანი დააკავეს. ასეთი მეთოდები და ამ ფორმის გამოყენება არ ნიშნავს პროპორციული ძალის გამოყენებას. ამასაც აქვს საზღვარი და რეალურად, მხოლოდ ის, რომ მოხდა მომიტინგეების გაფრთხილება იმაზე, რომ გაეთავისუფლებინათ ადგილი, საკმარისი არ არის. აუცილებელია ასევე ის, რომ პროპორციული ძალა იყოს გამოყენებული. რამდენიმე ადამიანი ფიზიკურად დაშავდა კიდეც. აქედან გამომდინარე პირველივე დღეს ვთქვით, როცა პროცესებს ვაკვირდებოდით, რომ პროპორციული ძალა ნამდვილად არ ყოფილა გამოყენებული. პირიქით, უზარმაზარი სპეციალური ძალა იყო გამოყენებული სპეცდანიშნულების დაშლის მეშვეობით.

ასევე იმ ადგილებიდან იყვნენ ადამიანები განდევნილი, სადაც ბლოკირება არ ხდებოდა. ანუ, საკმაოდ დიდ პერიმეტრზე მოხდა ტერიტორიის ფართოდ გათავისუფლება. მთლიანობაში, ისევე, როგორც დანარჩენი პროცესები, ვადევნეთ თვალი სასამართლო პროცესებს და დავინახეთ, რომ აქაც სერიოზული პრობლემებია. თუნდაც იმ მხრივ, რომ ათობით საქმეს იხილავდა ერთი მოსამართლე.

***– ეს რას ნიშნავს? რა ახსნა აქვს ამას, რომ მხოლოდ ერთ მოსამართლეს მისცეს ამდენი საქმე?***

– ერთი ის, რომ პოლიტიკური და სასამართლო ხელისუფლება, სავარაუდოდ, იმ ერთ მოსამართლეს ენდობოდა. ეს არის ჩემი ვარაუდი. ალბათ ის გაატარებდა იმ შეკვეთას, რა შეკვეთაც ხელისუფლებისგან მიუვიდათ იმაზე, რა სანქციაც უნდა გამოეტანა. მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ერთი, ამაზე არანაირი მოსაზრება არ მომისმენია. არაერთი მოსამართლეა, რომელთაც შეეძლოთ ამის განხილვა. მით უმეტეს, საქმის განხილვისას ლიმიტებია დაწესებული, ანუ დაკავებიდან 12 საათში უნდა დასრულებულიყო, რაც დაირღვა. გვიან ღამემდე გაგრძელდა ამის განხილვა. ეს ყველაფერი დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა.

აქაც იყო საპოლიციო ძალები მობილიზებული, არ უშვებდნენ მოქალაქეებს და ესეც არის ის საკითხი, რაც ერთ მთლიან ჯაჭვში უნდა იყოს განხილული.

***– მაგალითად, ვნახეთ, რომ არ შეუშვეს ანა დოლიძე, რომელიც იუსტიციის საბჭოს წევრია, რიგით მოქალაქეებს თავი რომ დავანებოთ.***

– სწორედ ამაზე მაქვს საუბარი, მაშინ, როდესაც რიგით მოქალაქეებსაც შეუძლიათ შევიდნენ პროცესზე და დაესწრონ სხდომას, თუკი არსებობს სივრცე დარბაზში. ამიტომ, სწორედ ხელისუფლების მიერ გატარებულ სანქციებზე მაქვს ბევრი კითხვის ნიშანი. ეს კიდევ უფრო მეტად ამყარებს ეჭვს, რომ ეს საკითხი არის პოლიტიზირებული და ხელისუფლებას პოლიტიკური ინტერესი გააჩნდა. დაწყებული პირველივე დღეებიდანვე, როდესაც პარლამენტმა ეს

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სუსის უფროსი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი გიორგი საბედაშვილი და დირექტორის მოადგილე ირაკლი ანთაძე.

მხარეებმა განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ შექმნილი ვითარება და იმსჯელეს უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებზე.

ყურადღება გამახვილდა მოლაპარაკებების არსებული ფორმატების, კერძოდ, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და გაძლიერების აუცილებლობაზე.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# გიგა ბუკია: „სადაც ოქრიაშვილს ივანიშვილზე მეტი წონა აქვს, იმ უმრავლესობაში ვერ დავრჩებოდით“

მარიამ მჭედლიშვილი

**რას აპირებს პარლამენტის უმრავლესობიდან გამოსული კონსერვატორების ფრაქცია? როგორ აფასებენ კონსერვატორები ქუჩაში მიმდინარე აქციებს? რას ნიშნავს აირაის ბოლო კვლევის თანახმად გამოცხადებული პირველი პირების უარყოფითი რეიტინგები? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატორ დეპუტატ გიგა ბუკიას.**



## „თუ ეს მაჟორიტარები ფიქრობენ, რომ „ქართული ოცნება“ მათ მაჟორიტარობის კანდიდატებად დააყენებს, ცდებიან“

***– რამდენადაც ვიცი, უმრავლესობიდან გამოსვლის შემდეგ კენჭისყრისას დააფიქსირებთ უმრავლესობის მსგავს პოზიციას ზოგიერთ საკითხზე. მაგალითად, ბიუჯეტის დამტკიცებისას „ქართულ ოცნებას“ გაუამხანაგდებით?***

– ჩვენ, კონსერვატორები, ამ გადაწყვეტილების შემდეგ დამოუკიდებელი დეპუტატები ვართ და არავისთან გაამხანაგებას არ ვაპირებთ. თუ მისაღებად ჩავთვლით, დავეთანხმებით ნებისმიერ ინიციატივას. თუ რომელიმე პროექტი წაადგება ქვეყანას ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა თვალსაზრისით, ყველას ხმას მივცემთ.

***– ესე იგი, კენჭისყრისას თავისუფლება გექნებათ?***

– შეიძლება ბევრმა არ იცის, მაგრამ ჩვენ ყოველთვის თავისუფლად ვიქცეოდით კენჭისყრის დროს. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ ყველას არ ჩამოვთვლი. მაგალითად მოვიყვან გახმაურებულ თემას. იმ კანონპროექტებს, რომლებითაც ნარკოტიკები ხდებოდა ხელმისაწვდომი, მხარს არ ვუჭერდით. ჩვენ მტკიცე უარყოფითი დამოკიდებულება გვქონდა კანაფის პლანტაციებზეც. ამას არ ვმალავდით.

***– თუმცა, ახლა უფრო მეტი თავისუფლება გექნებათ.***

– რასაკვირველია. ყველა გადაწყვეტილებას ჩვენი ღირებულებებიდან გამომდინარე მივიღებთ. წინათ ცხარე კამათი ბევრჯერ გვქონია უმრავლესობის შიგნით ამა თუ იმ საკითხზე. ეს უთანხმოება გარეთ არ გამოგვქონდა და ვცდილობდით კონსენსუსის მიღწევას.

***– „ოცნების“ სასარგებლოდ?***

– არა, არა. ხან ასე იყო, ხან ისე. ყოფილა შემთხვევები, რომ ჩვენც გაგვიტანია ჩვენი პოზიცია. მაგალითად, კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციაში. ახლა ვაპირებთ, მივიღოთ მონაწილეობა ყველა პოლიტიკურ პროცესში. არც პასუხისმგებლობას გავურბივართ. ვიღებთ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც ბოლო 7 წლის განმავლობაში მოხდა.

***– იმავე მიზეზით, რის გამოც უმრავლესობა და თანამდებობები დატოვეთ, გრძელდება საპროტესტო აქციები პარლამენტთან.***

– გამოხატვის უფლება ყველას აქვს. მთავარია, რომ არც ხელისუფლება და არც აქციის მონაწილეები არ გამოვიდნენ კანონის ჩარჩოებიდან. სიტუაციის დაძაბვა ისევ და ისევ უნდა ნაციონალურ მოძრაობას თავისი განშტოებიანად. პოლიტიკური ძალების რადიკალიზაცია და ორ ნაწილად დაყოფა კი ორივეს აწყობს – მმართველ პარტიასაც და ნაცმოძრაობასაც.

***– ისევ ორპოლუსიანობის ნიშნებს ხედავთ?***

– სამწუხაროდ, უნდათ ამის შენარჩუნება. „ქართული ოცნებისთვის“ ხელსაყრელია, თუ მისი მტერი იქნება სააკაშვილი. პარლამენტის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება სწორედ იმიტომ გვინდოდა, რომ არ ყოფილიყო მარტო თეთრი და შავი, მარტო „ოცნება“ და ნაცმოძრაობა.

იმათ, ვინც კონსერვატორებში ვართ, რადიკალიზაციის, ბრძოლისა და ბარიკადების მეტი რა გვინახავს. ჩვენ კი არ გვეშინია ამის, გვინდა, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა. პროპორციული წესით არჩეული მრავალპარტიული პარლამენტი მოიტანდა გრძელვადიან სტაბილურობას.

***– ამის მოწინააღმდეგეებისთვის, პირიქით, მრავალპარტიული პარლამენტია სტაბილურობის დამრღვევი.***

– მრავალპარტიული პარლამენტის დროს შეიძლება გაჭირდეს გადაწყვეტილებების მიღება, სამაგიეროდ, გამოირიცხება რადიკალიზაცია და იქნება გრძელვადიანი სტაბილურობა. ჩვენი საზოგადოება მომწიფებულია საიმისოდ, რომ გააკეთოს არჩევანი და აირჩიოს პარტიები. ძალიან სამწუხაროა, რომ პარლამენტის უმრავლესობაში აღმოჩნდნენ დეპუტატები, რომლებმაც ეს პროექტი ჩააგდეს.

***– ამაზე სხვა აზრია გავრცელებული.***

– ჩვენთვის ამოსავალი გახდა ზოგიერთი მაჟორიტარის მოქმედებები. კონსერვატორები ვერ დავრჩებოდით იმ უმრავლესობაში, სადაც ოქრიაშვილის სიტყვას მმართველი პარტიის თავმჯდომარის სიტყვაზე მეტი წონა აქვს.

ამ მაჟორიტარებმა ხალხს ნდობა დააკარგვინეს. თუ ეს მაჟორიტარები ფიქრობენ, რომ „ოცნება“ მათ მაჟორიტარებად კიდევ გაიყვანს, ცდებიან. საზოგადოება ასეთ ხალხს არ აირჩევს. შეიძლება ყველა ადამიანი ვერ ერკვევა საარჩევნო კანონმდებლობაში, მაგრამ მატყუარა და პირობის დამრღვევი ხელისუფლება არავის მოსწონს.

***– უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ „ოცნების“ ინიციატივა პროპორციული არჩევნების შესახებ მარტო „ოცნების“ წინადადება იყო და ეს არ ყოფილა პოლიტიკური კონსენსუსის შედეგი. ამდენად, პარტიების წინაშე თავის სამართლებელი არაფერი აქვთ.***

– რამდენი დღეა, „ქართული ოცნება“ თავის მართლებაზეა გადასული. კი ბატონო, ეს მმართველი პარტიის კარგი ინიციატივაა. სამწუხაროდ, ის არ გავიდა. თუ კარგი ინიციატივა შესთავაზე ხალხს, ბარემ, ბოლომდე მიიყვანე, სიტყვაც შეასრულე, თორემ, აღარავინ გენდობა.

***– აირაის ბოლო კვლევით, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს ძალიან დაბალი რეიტინგები აქვთ – სალომე ზურაბიშვილი არ მოსწონს 70%-ს, არჩილ თალაკვაძე 50%-ს, გიორგი გახარია 49%-ს. ეს რას ნიშნავს? ხალხი პირველ პირებს არ ენდობა?***

– ეს მონაცემები სარწმუნოდ არ მიმაჩნია. აირაის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ არ ვენდობი იმ ადგილობრივ სამსახურებს, რომლებიც ატარებენ კვლევას. განსაკუთრებით, საეჭვოა რეიტინგები.

2010 წელს ადგილობრივ არჩევნებამდე აირაიმ კონსერვატორებს 1%-ზე ცოტა მეტი დაგვიწერა იმ დროს, როცა არჩევნებში 12% ავიღეთ. ასეთი აცდენა უამრავი იყო. ეს ციფრებია სადავო, თორემ უმუშევრობა რომ ხალხის დიდ რაოდენობას აწუხებს, ეს აირაის გარეშეც ყველამ ვიცით.

# „ვაჟა გაფრინდაშვილი ზესახელმწიფოებრივი ფასეულობების მატარებელი ადამიანია“

## თენგიზ დიხამინჯია: „რუსეთის წინააღმდეგ დიდი ეროვნული თანხმობა გვჭირდება“

გულიკო ბალაძე

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს დატყვევებული ჰყავს ქართველი ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც რეგიონში ავადმყოფის სამკურნალოდ შევიდა.

ამ საკითხზე „ახალ თაობას“ თენგიზ დიხამინჯია ესაუბრა.



***– ვაჟა გაფრინდაშვილს როდესაც აკავებდნენ და უთქვამთ, თქვენ საზღვარი დაარღვიეთო. მას უპასუხია, მე საზღვარი ვიცი როკთან და ფსოუზეო და მათ ბრალდებაზე ხელი არ მოუწერა. ეს რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ ბატონი ვაჟა, თავისი უდიდესი პროფესიონალიზმისა და ჰუმანიზმის გარდა, ზეადამიანური, ზესახელმწიფოებრივი ფასეულობების მატარებელი ადამიანია, რომელიც დღევანდელი პოლიტიკოსების – როგორც მოქმედი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, ფლობს ძალიან დიდ ფასეულობას.

მისი ფასეულობები დამყარებულია საქართველოს კონსტიტუციაზე, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე და ზესახელმწიფოებრივ მონაპოვარზე. ამას იცავს ცხინვალში დატყვევებული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც ამის დაცვის მნიშვნელობას უხსნის მთელ ქართველ მოსახლეობას, მსოფლიო საზოგადოებრიობას.

***– ცხინვალის ე.წ. უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ მიერ დატყვევებული ექიმი 2008 წლის ომში მონაწილეობდა და ამიტომ პასუხი უნდა აგოს.***

– ცხადია, ეგ არის შეთითხნილი ბრალდება. პარადოქსულია, რომ ამ ადამიანს ბრალდება წაუყენეს არა ე.წ. სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობით, არამედ რუსული კანონმდებლობით. თუ დამოუკიდებელია, თავისი სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა უნდა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, აქ რუსული ინტერესებია. ცხინვალში მარიონეტები რომ სხედან, აქედანაც ჩანს.

***– ექიმის გასათავისუფლებლად კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პატრიარქ კირილს მიმართა. ეს შედეგის მომცემი იქნება?***

– არ ვიცი, რუსეთის პატრიარქისადმი მიმართვა რა შედეგს მოიტანს. თუმცა, პატრიარქი სწორად მოიქცა, როცა რუსეთის პატრიარქს მიმართა, რომ უშუამდგომლოს.

***– სამწუხაროდ, „ექიმები საზღვრის გარეშე“ ამ შემთხვევაში არ მოქმედებს.***

– „ექიმები საზღვრის გარეშე“ ნიშნავს იმას, რომ ჰიპოკრატეს ფიციდან გამომდინარე, მათთვის საზღვრები არ არსებობს. აფხაზეთის ომში იმ ტერიტორიაზე ხშირად ვიყავი წინა ხაზზე და დაჭრილებთან. კარგად ვიცი, რომ ჩვენი ექიმები სხვა ეროვნების დაჭრილებსაც ისევე ჰუმანურად ეპყრობოდნენ და მკურნალობდნენ, როგორც ქართველებს. ასეთი ფაქტების შემსწრე პირადად ვარ.

***– ცხინვალის რეგიონში ადამიანების გატაცებებში ოსი სეპარატისტებიც აქტიურად მონაწილეობენ. ცხინვალის რეჟიმი მაინც რატომ ღებულობს ასეთ ანტიჰუმანურ გადაწყვეტილებებს, რის მიღწევა სურს?***

– საოკუპაციო რეჟიმს არ უნდა დაუშვას პრეცედენტი, მაგრამ ვაჟა გაფრინდაშვილი მორალურად უკვე გამარჯვებულია. ამ ადამიანმა დიდი ჰუმანური აქტი ჩაიდინა. ეს უნდა გავრცელდეს მთელ საზოგადოებაზე.

აქ მთავარია, რუსები რას აკეთებენ. მათ უნდათ, თავიდან ამოვიგდოთ ცხინვალის რეგიონი, როგორც ჩვენი ნაწილი. უნდათ, ცხინვალის რეგიონი მივიღოთ ჩამოჭრილ ტერიტორიად, უნდათ, შევეგუოთ ფაქტს და ისე დაგვაწყებინონ მშვიდობიანი, დიპლომატიური ურთიერთობის დალაგება რუსეთთან.

ამიტომ ყველანაირად ცდილობენ, ჩვენი ცნობიერება, ფასეულობები, ისტორიისა და მომავლის აღქმა დაკაბალებული იყოს, რის შედეგად ჩვენი მართვა და მანიპულაცია ძალიან ადვილია.

***– ამას რით შეიძლება დავუპირისპირდეთ?***

– ამიტომ საჭიროა დიდი ეროვნული თანხმობა, დიდი გაერთიანება. გათითოკაცებული რომ ვართ და ელემენტარულ რაღაცებზე ვერ ვთანხმდებით, მტერიც გვერევა. ის ვაიპოლიტიკური პროცესები, რომელიც ახლა მიმდინარეობს, რასაც ხელისუფლებამ და მისმა პირველმა პირმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, იძლევა იმის საშუალებას, მივაღწიოთ დიდ ეროვნულ თანხმობას, რომელიც გაგვაერთიანებს, დაგვრაზმავს და გათითოკაცებას თავს დაგვაღწევინებს.

***– ეს როგორ უნდა იქნას მიღწეული?***

– მოვუწოდებ ყველა მხარეს, განსაკუთრებით, ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამ სულიერ აქტს თვალი გაუსწორონ, საზოგადოებასთან გადადგან შემხვედრი ნაბიჯი, რომელიც დიდი ეროვნული თანხმობით უნდა დაგვირგვინდეს.

საქმეს იქამდე ნუ მიიყვანენ, როგორც 1991 წელს მოხდა. ექიმმა აბესაძემ თავი დაიწვა, რომელიც ითხოვდა შეთანხმებას, შერიგებას, მაგრამ არავინ ყურად არ იღო, რასაც მოჰყვა დესტრუქციული, ბნელი ძალების გაათმაგება და ყველაფერი სამოქალაქო კონფრონტაციით და საშინელებებით დასრულდა.

მსგავსი ვითარება რომ არ მივიღოთ, გაიხსენონ ვაჟა გაფრინდაშვილის გმირული ნაბიჯი, თვალი გაუსწორონ ამ ფასეულობას და ერთმანეთთან გადადგან შემხვედრი მოქალაქეობრივი, პოლიტიკური და ადამიანური ნაბიჯები, რაც გამოაჩენს მოქმედების ახალ სივრცეებს.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# გედევან ფოფხაძე: „ოცნების“ ხელისუფლების ადგილი ციხეშია!“

ჩაგდება და ლამის ქვეყნის ჩამოშლა.

ბიძინა ივანიშვილის ყველა ინიციატივა გუნდში ყოველთვის უპირობოდ იყო გაზიარებული ამ ხალხის მიერ. სწორედ ამ ხალხის მიერ უპირობოდ იყო გაზიარებული მისი ინიციატივა მარიხუანას კულტივაციასთან დაკავშირებით, ჩემი მხრიდან კი არა! თქვენ გგონიათ, ეს ხალხს დაავიწყდა?! ასევე უპირობოდ იყო გაზიარებული ზონდერ მოსამართლეების შესახებაც გადაწყვეტილება, მე კი არ გამიზიარებია. ესეც არავის დავიწყნია.

***– თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ ახალი ფრაქცია იქმნება „ოცნებიდან“ ბოლოს გასული დეპუტატების მიერ. გამოდის, საპარლამენტო უმრავლესობას სერიოზული საყრდენი გამოეცალა?***

– რასაკვირველია, გამოეცალა. ხელისუფლებამ ლეგიტიმაცია დაკარგა ყველა მიმართულებით, ეს უკვე ხელისუფლება აღარ არის. მათი ადგილი ციხეშია. ესენი ვერც არჩევნებს ვერ ჩაატარებენ და ვერც ვერაფერს!

***– გადაჭარბებული ხომ არ არის თქვენი ეს შეფასება?***

– არ არის! მათი ადგილი არის ციხეში.

***– „აირაის“ კვლევებით, 23% აქვთ.***

– არ მაინტერესებს. 23% ფაშისტურ პარტიასაც ჰქონდა გერმანიაში. რამდენი პროცენტიც არ უნდა ჰქონდეთ, საბოლოო ჯამში, ეს მათ მდგომარეობას ვერ შეცვლის. მათი საბოლოო მისამართი გლდანის იზოლატორი არის. დაწყებული თალაკვაძით და დამთავრებული კობახიძემდინარაძით. არავითარი შეფასება ჩემი მხრიდან მათი მისამართით აღარ იქნება. მათზე, როგორც ხელისუფლებაზე, აღარ ვაპირებ საუბარს.

***– ძალიან გაბრაზებული ჩანხართ.***

– საერთოდ არ ვარ გაბრაზებული. ციხეში ჯართის ქურდები სხედან და ხელისუფლების ქურდები, რომლებმაც ხალხს მომავალი მოპარეს, არ უნდა ისხდნენ?! რა, კახი კალაძე არ უნდა იჯდეს ციხეში და ვიღაცა ერთი ქილა კომპოტის მოპარვისთვის უნდა იჯდეს ციხეში?! ხალხის მძარცველების, ხალხის მჩაგვრელების ადგილი ციხეშია და არა – ხელისუფლების სათავეში.

არანაირი მოლაპარაკებები, არანაირი დიალოგი, არანაირი თანამშრომლობა ამ ხალხთან რეალურად და შესაძლებლად არ მიმაჩნია. ამ ადამიანებთან თანამშრომლობა ნიშნავს თანამონაწილეობას კრიმინალურ საქმიანობაში.

***– საპარლამენტო მუშაობის, სესიების ბოიკოტს აპირებთ?***

– არანაირ ბოიკოტს არ ვაპირებ! სადაც მექნება შესაძლებლობა და რესურსი ჩემი პოზიციის დაფიქსირების და მათი მხილების, ამ შესაძლებლობას გამოვიყენებ. მე რატომ უნდა ვიყო ბოიკოტის რეჟიმში. მე რატომ უნდა დავტოვო დეპუტატის მანდატი, მე თვიდან თვემდე ხელფასზე ვცხოვრობ და არავის არაფერს ვპარავ.

მე არავინ დამიჩაგრავს, არავინ მომიტყუებია, არავისთვის არაფერი მომიპარავს, არც ერთი თეთრი და ამ ქურდებს, ამ ყაჩაღებს როგორ შევადარებ ჩემს თავს?!

***– როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს?***

– დემოკრატიული პროცესი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ივანიშვილსა და მის ამ ხროვას გავაკულაკებთ.

მე მათთან ყველანაირი ურთიერთობა და დიალოგი დავამთავრე.

# „დერეფნიდან დედა შემაგინა, ავდექი და მეც გავედი, ამას მოჰყვა ხელჩართული ჩხუბი“

## ექიმ გიორგი მალალაშვილს სცემეს



თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში ცნობილ ექიმს, გიორგი მალალაშვილს, თავს დაესხნენ.

თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნეიროქირურგ მალალაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა პაციენტის ცოლმა და მეგობარმა მამაკაცმა მიაყენეს, თუმცა ექიმმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

მალალაშვილის თქმით, მასთან კაბინეტში შევიდა 2 კაცი, რომელთაგან ერთ-ერთი აგრესიულად ითხოვდა ექიმისგან პასუხს პაციენტის მდგომარეობასთან დაკავშირებით:

– ავადმყოფის ერთ-ერთ ნათესავთან მოხდა ხელჩართული ბრძოლა, იმიტომ, რომ არის რაღაცა საზღვრები ურთიერთობაში, რომლის იქითაც არ შეიძლება თავის შეკავება. პრეტენზია ჰქონია იმაზე, რომ თურმე ვიღაცა ჰყოლია მას ავადმყოფი, რომელიც საავადმყოფოში დაღუპულა და ექიმებს ვერ იტანს.

ოპერაცია კარგად შესრულდა და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, რას ჰქვია იმედიაო, გარანტიებიო? რომ გავიდა კორიდორში, იქიდან დედა შემაგინა, ავდექი და მეც გავედი, ამას მოჰყვა ხელჩართული ჩხუბი.

ძალიან დიდი საყვედური მინდა ვთქვა, რომ მოხდა სამედიცინო დაწესებულებაში ასეთი რამ და არც ქალაქის ჯანდაცვის, არც სამინისტროს მხრიდან კითხვაც არ ყოფილა, რა მოხდა, – უთხრა კურიერს გიორგი მალალაშვილმა.

ექიმზე თავდასხმის ფაქტს თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორმა გიორგი ლობჟანიძემ მიუღებელი უწოდა.

– ვგმობთ მომხდარ ფაქტს, ასეთი რამე არ უნდა ხდებოდეს, როდესაც ექიმი ასრულებს თავის პროფესიულ საქმიანობას. მსგავსი ფაქტები, რომლებიც საკმაოდ გახშირდა ბოლო პერიოდში, ვნებს ზოგადად საზოგადოებას, იმიტომ, რომ ექიმსა და პაციენტს შორის იწვევს უნდობლობას, – განაცხადა გიორგი ლობჟანიძემ.

ფაქტზე გამოძიება დაიწყო. დაზარალებულმა ექიმმა სამართალდამცველებს ჩვენება უკვე მისცა.

# ლაშა ჭიღლაძემ საქალაქო სასამართლოსთან თავის დაწვა სცადა



„ლაივში როგორ მემუქრებით იარაღის ჩადებით, განახებთ თქვენ“

19 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან 27 წლის ლაშა ჭიღლაძემ ბენზინის გამოყენებით თავის დაწვა სცადა, თუმცა, ახალგაზრდა მამაკაცს თავის დაწვის უფლება სამართალდამცველებმა არ მისცეს და ტერიტორიიდან გაიყვანეს.

ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე ახალგაზრდა მამაკაცმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ იგი საწვავს პირდაპირ ეთერში გადაისხამდა, რადგან მას „ქართული ოცნება“ იარაღის ჩადებით ემუქრებოდა.

„ვაპირებ საწვავი გადავისხა, ესენი უნდა გავაბანძო, უარესად მოგი...თ ოცნება. ახლა მიყურეთ თქვენ, უარესად უნდა გაგაბანძოთ. ამას გავაკეთებ ლაივში. როგორ მემუქრებით იარაღის ჩადებით, განახებთ თქვენ“ – დაწერა ლაშა ჭიღლაძემ ინციდენტამდე 2 საათით ადრე.

გავრცელებული ინფორმაციით, ლაშა ჭიღლაძე ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშიას“ წევრია.

# ბათუმში 2 ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა

## დაშავებულია 1 ადამიანი




ბათუმში, ორი მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად, დაშავდა ერთი ადამიანი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლუატაციის დარღვევას გულისხმობს.

# საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხანძრები ლიკვიდირებულია



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების – ხევრალისა და ცხუმარის მიმდებარედ გაჩენილი ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაციას ადგილზე გაეცნენ.

– მთელი ქვეყნის მასშტაბით, თითქმის ერთდროულად, დაახლოებით, სამი-ოთხი დღის განმავლობაში გვქონდა ხანძრის 7კერა. იწვოდა ტყის ქვედა საფარი, ბალახი და ბუჩქნარი. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარში დამთავრდა ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები. ადგილზე რჩებიან გარკვეული მცირე ჯგუფები, რომლებიც ღამის განმავლობაში განახორციელებენ მონიტორინგს. საკმაოდ რთულ ვითარებაში უწევდათ ბიჭებს მუშაობა. მინდა მათ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო, – განაცხადა იოსებ ჭელიძემ.

როგორც პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, სოზარ სუბარმა განაცხადა, მეხანძრე-მაშველებმა ხანძრის კერების ლიკვიდაცია უსწრაფესად შეძლეს.

– მესტიის რაიონში ჩამოსული იყო 150-ზე მეტი მეხანძრე-მაშველი, რომლებმაც მართლაც მიუდგომელ ადგილებში, სადაც უბრალოდ მისვლა და ფეხით დადგომაც ჭირდა, შეუძლებელი შეძლეს და ძალიან ჩქარა – ორი დღის განმავლობაში მოახდინეს ხანძრის კერების ლიკვიდაცია, – აღნიშნა სოზარ სუბარმა.

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის მიმდებარედ, ტყის ქვედა საფარის ხანძარი ლიკვიდირებულია. სალიკვიდაციო სამუშაოებში დილიდან ჩართული იყო 50-მდე მეხანძრე-მაშველი.

ასევე, ლიკვიდირებულია ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიმბრალასთან გაჩენილი ტყის ქვედა საფარის ხანძარი. სალიკვიდაციო სამუშაოებში დილიდან ჩართული იყო 18 მეხანძრე-მაშველი.

რაც შეეხება ხანძრის დანარჩენ კერებს:

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ირის მიმდებარედ, ტყის ქვედა საფარის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში დილიდან ჩართული იყო 35-მდე მეხანძრე-მაშველი. ამ დროისთვის ხანძარი ლიკვიდირებულია.

ასევე, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდაშელების მიმდებარედ, ტყის ქვედა საფარის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში დილიდან ჩართული იყო 40-მდე მეხანძრე-მაშველი. ამჟამად ხანძარი ლიკვიდირებულია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აბარის მიმდებარედ, ტყის ქვედა საფარის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში დილიდან ჩართული იყო 45-მდე მეხანძრე-მაშველი. ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში, წაჩხურის მთაზე, ტყის ქვედა საფარის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში დილიდან ჩართული იყო 13 მეხანძრე-მაშველი. ამ დროისთვის ხანძარი ლიკვიდირებულია.

# დედოფლისწყაროში მანქანა მოპედს დაეჯახა



## 16 წლის მოზარდი დაიღუპა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში ავარიას 16 წლის მოზარდი ემსხვერპლა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მოპედს, რომელსაც არასრულწლოვანი მართავდა, მსუბუქი მანქანა შეეჯახა.

მძღოლი ადგილიდან მიიმალა.

მოზარდი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, მეორე დაშავებული კი საავადმყოფოში რჩება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლითა მიმდინარეობს.

# კოსტავას ქუჩაზე მამაკაცი დაჭრეს




გუშინ, 20 ნოემბერს, კოსტავას ქუჩაზე მამაკაცი დაჭრეს.

კონფლიქტი სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო, რის შედეგადაც მამაკაცს ცივი იარაღით 2 ჭრილობა მიაყენეს.

დაჭრილი რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას ოპერაცია ჩაუტარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქმე 117-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რომელიც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# უჩა ნანუაშვილი: „37 წელიც არ არის შორს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გადაწყვეტილება მიიღო და ჩააგდო ინიციატივა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი არის ერთი პროცესის შემადგენელი ნაწილი.

***– აქ ხომ კონტექსტი უნდა იყოს გათვალისწინებული? გასაგებია, რომ პიკეტირება იყო, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ შექმნა ამის საფუძველი. დასავლეთში, როცა ასეთი კრიზისებია ხოლმე, ასეთ კონტექსტს არ იღებენ მხედველობაში?***

– რა თქმა უნდა, კონტექსტიც უნდა იყოს გათვალისწინებული და როცა გამოძიებაზეა საქმე, ყველა ეტაპი და ყველა ინციდენტი უნდა იყოს ცალ-ცალკე გამოძიებული. მომიტინგეები არანაირ ძალადობრივ მეთოდებს არ მიმართავდნენ. ვუყურებდით კადრებს, რომ არ მომხდარა მათი მხრიდან ძალადობაზე გადასვლა. ფაქტობრივად, ისინი ისხდნენ შესასვლელთან და როცა ძალადობრივი მეთოდებით არ ხდება აქციის გამართვა, ამ შემთხვევაში, მე ვფიქრობ და კანონმდებლობაც ამას ითვალისწინებს, რომ სხვა მეთოდებით უნდა ყოფილიყო დაშლილი აქცია და ადამიანების გამოყვანაც იქიდან უნდა მომხდარიყო არა რაღაც განსაკუთრებით საპოლიციო და სპეცსაშუალებებით, არამედ შეიძლებოდა დაკავება ადამიანების, თუ ამის აუცილებლობა იყო.

მეორეა ის, რომ მშვიდობიან შეკრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ძალადობა რომ ყოფილიყო და მოწოდებები, მაშინ, რა თქმა უნდა, პოლიციას ექნებოდა ამის საშუალება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ პოლიციას მხოლოდ მათზე შეუძლია გამოიყენოს ძალა, რომელი დემონსტრანტებიც ძალას გამოიყენებენ და კანონს არღვევენ. აქციის მიმდინარეობას ხელი არ უნდა შეეშალოს და ეს არის ის წესი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. მთლიანად საპროტესტო აქციის შეჩერების უფლება არ აქვს სამართალდამცავ ორგანოს.

მთლიანობაში ეს საკითხი ამ კონტექსტში უნდა იყოს გათვალისწინებული. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ფორმალური საფუძველი პოლიციას ჰქონდა ძალის გამოყენების, მაგრამ ძალის გამოყენებაც არის ადეკვატური. მაგალითად, ათი ადამიანის წინააღმდეგ ათასი პოლიციელი არ უნდა იყოს გამოყენებული.

***– ვნახეთ, რომ რამდენიმე ათეული პოლიციელი იტაცებდა აქციის თითოეულ მონაწილეს და ა. შ. ეს რამდენად ჯდება სამართლებრივ ლოგიკაში?***

– როცა საუბარია იმაზე, რომ უნდა მოეხდინათ აქციის მონაწილეების რეალიზება, რომლებიც გამოირჩეოდნენ ძალადობით, მაგრამ თუ ასეთ საქციელს ადგილი არ აქვს. ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები.

***– თუმცა ამის მიუხედავად, გაცილებით რბილად მოხდა ამ აქციის დაშლა თუ შევადარებთ 20 ივნისის აქციას. კიდევ ერთხელ ხომ არ გამოჩნდა, რომ ის ცალსახად სადამსჯელო ოპერაცია იყო?***



– რა თქმა უნდა, სადამსჯელო ოპერაცია იყო ის და ამაზე აქამდეც გვისაუბრია. ხელისუფლებამ მოსკოვს – გავრილოვს თუ საერთოდ პუტინის ადმინისტრაციას გაუგზავნა შესაბამისი სასიამოვნო ამბავი, რომ ამ დარბევით გაემართლებინა და გადაეფარა ის აგრესია, რაც გაუჩნდა რუსეთს. ეს პირდაპირ ჩვეულებრივი სადამსჯელო ოპერაცია იყო, რომელიც ასეთი სამწუხარო და სავალალო შედეგით დასრულდა. მით უმეტეს, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მაშინაც შეიძლებოდა სხვა მეთოდების გამოყენება. კანონიც და პოლიციაც იგივე იყო. რეალურად შეიძლებოდა დემონსტრანტების წინასწარ გაფრთხილება. ბევრი შეცდომა და ბევრი დანაშაულიც, რაც 20 ივნისს მოხდა, ამ შემთხვევაში არ მომხდარა. რაღაც-რაღაცები ხელისუფლებამ გაითვალისწინა და ბევრად უფრო მომზადებული იყო.

მაგრამ, მეორე მხრივ არის სხვა საკითხი. როდესაც საუბარია დემონსტრაციებსა და აქციებზე, ჩვენ ვხედავთ სხვა არაერთ აქციას, როდესაც პოლიცია და სახელმწიფო გაცილებით უფრო შემწყნარებელია. მხედველობაში მაქვს ულტრა-რადიკალური ჯგუფების აქტიურობა, რომლის მიმართაც პოლიცია ლმობიერებით გამოირჩევა.

***– ვასაძე-ბრეგაძის ჯგუფებს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. არაერთი აქცია იყო. მათ შორის ძალადობისკენ მოწოდება, ძალადობრივი ქმედებებიც იყო, ადამიანებზე თავდასხმა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ხდებოდა საქმეების აღძვრა და იქაც ბევრ შემთხვევაში არ დადგა კონკრეტული შედეგი. ანუ, თანმიმდევრული და ობიექტური არ ყოფილა გამოძიება. ვხედავთ, რომ მიდგომა არის განსხვავებული. დღევანდელი აქციების დროს უფრო მკაცრია პოლიციაც და სასამართლოც და ვასაძის და სხვა ექსტრემისტული ჯგუფების მიმართ უფრო ლმობიერი. ამაზე მეტყველებს შერჩევითი სამართლის ნიშნები.

***– შერჩევით სამართალზე საუბრობთ და ირაკლი ოქრუაშვილს 12 წლის წინ მომხდარ საქმეზეც წარუდგინეს ბრალი. ესეც ამის მაგალითია?***

– რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მარტივად არის საქმე. 12 წლის წინანდელ საქმეზე რომ წარუდგინეს ბრალი, ეს ამაზე მიუთითებს, მაშინ როდესაც, 7 წელზე მეტია, რაც ეს ხელისუფლება მართავს ქვეყანას და მისი სასამართლოც მიმდინარეობდა. როცა გაჩნდა პოლიტიკური ინტერესი, მაშინ დაიწყეს ბრალის წარდგენა.

***– ასეთი საშიშია ხელისუფლებისთვის ირაკლი ოქრუაშვილი?***

– იმდენად თავად არა, რამდენადაც მისი განცხადებები და მისი სწრაფვა, რომ დაებრუნებინა ერთ-ერთი მთავარი ტელეკომპანია. ალბათ დაინახა ხელისუფლებამ, რომ მას ჰქონდა მტკიცებულება ან არგუმენტი და უფრო ამ მიმართულებით მგონია, ვიდრე ის, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით უფროა საშიში ხელისუფლებისთვის. იმისათვის, რომ არ დაებრუნებინა რუსთავი 2, ამის გამო დაიჭირეს ის და ამის გამო ხდება მის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება.

***– ბოლოს ნახევრად ხუმრობით ვიკითხავ, ახსენეთ 37 ადამიანის დაკავება. ეს ერთგვარად საკრალური რიცხვი ხომ არ არის და 37 წლის რეპრესიებთან ხომ არ უნდა გავავლოთ პარალელი?***

– 37 წელს კიდევ უფრო სხვა მდგომარეობა იყო რეალურად. შორს ვართ იმ ვითარებისგან, მაგრამ სასამართლოზე ნამდვილად დავინახე, რომ 1 მოსამართლე იხილავს ამდენ საქმეებს და როცა ისევ მოქმედებს საბჭოთა კავშირის დროინდელი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც 1984 წელს არის მიღებული და ამ კანონით მუშაობს სასამართლო. 37 წელიც არ არის შორს, როცა ისევ 1984 წლის კანონით ვმუშაობთ.

2019, 21 ნოემბერი, №276

# ირანში საპროტესტო აქციების დროს 200-მდე ადამიანი მოკლეს



ირანში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს, სულ ცოტა, 106 ადამიანი მოკლეს. ბრიტანული ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშენალი" ირანის უსაფრთხოების ძალებს გადამეტებული ძალის გამოყენებაში ადანაშაულებს.

– 21 ქალაქის მასშტაბით, სულ ცოტა, 106 პროტესტანტი მოკლეს. დაღუპულთა რაოდენობა შესაძლოა ბევრად მეტი იყოს. ზოგიერთი ცნობით, ის 200-მდე აღწევს, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

უსაფრთხოების ძალები ბევრ შემთხვევაში ოჯახებს ცხედრებს არ აძლევენ ან აიძულებენ მათ, მიცვალებულები ჩუმად დამარხონ.

ირანის ოფიციალური პირების მიერ გავრცელებული ცნობებით, დაკავებულია დაახლოებით 1.000 დემონსტრანტი.

ირანში მასშტაბური პროტესტი საწვავის ფასის ზრდამ გამოიწვია.

# ისრაელმა სირიაში საპასუხო საჰაერო თავდასხმა განახორციელა



ისრაელმა სირიაში ირანისა და სირიის სამხედრო ძალების ათეულობით სამიზნის წინააღმდეგ საპასუხო საჰაერო თავდასხმა განახორციელა.

„ირანის სამხედრო ძალების მიერ სირიის ტერიტორიიდან ისრაელის წინააღმდეგ წუხელ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის საპასუხოდ, ისრაელის თავდაცვის ძალების ავიაგამანადგურებლებმა ირანისა და სირიის სამხედრო ძალების ათეულობით სამიზნეზე იერიში მიიტანეს" – ნათქვამია ისრაელის სამხედრო ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სირიის საინფორმაციო სააგენტო სანა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ სირიის თავდაცვის ძალებმა ისრაელის გამანადგურებლების მიერ გაშვებული რაკეტების უმეტესობის განადგურება მანამდე შეძლეს, სანამ ისინი სამიზნეებს მიაღწევდნენ.

## კალეიდოსკოპი

# ინდოელმა წაგებულის გადახდა საკუთარი ცოლით სცადა



ინდოეთში აზარტული თამაშებით გატაცებულმა ბინოდ კუმარ შახმა ნიძლავი წააგო და ვალის გასასტუმრებლად მოგებულს საკუთარი ცოლი ჩანდ დევი შესთავაზა. მას შემდეგ კი, რაც ქალმა უარი თქვა მოგებულს გაჰყოლოდა, ბინოდი მას თავს დაესხა.

მომხდარის თაობაზე ქალმა პოლიციას აცნობა. ამჟამად მომხდარის გამოძიება მიმდინარეობს. დევის თქმით, საღამოს დაბრუნებულმა ქმარმა მას უთხრა, რომ ნიძლავი წააგო და დილას სხვა მამაკაცი „მოგებულის" წასაყვანად მოვიდოდა. როდესაც ქალმა ამაზე უარით უპასუხა, შახი მას თავს დაესხა.

ქალის მიერ ამ თავდასხმის შედეგად მიღებული დაზიანებების და ნიძლავის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პოლიციაში განცხადების შეტანის შემდეგ დევმა ქმარი მიატოვა და მშობლებთან დაბრუნდა.

# ერდოღანი რუსული რაკეტების შესყიდვას მაინც აპირებს



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთის რაკეტების შესყიდვის აუცილებლობა კვლავაც არსებობს.

– რაკეტებს აუცილებლად შევისყიდით, – თქვა ერდოღანმა.

ამას გარდა, თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თურქეთის არმია მზადაა, სირიის ტერიტორიაზე კვლავაც ჩაატაროს ანტიტერორისტული ოპერაცია.

– ჩვენ თურქეთის საზღვართან ტერორისტული დერეფნის შექმნას არ დავუშვებთ, – განაცხადა ერდოღანმა.

# გერმანიის ყოფილი პრეზიდენტის შვილი ლექციაზე მოკლეს



გერმანიის ექსპრეზიდენტის, რიხარდ ფონ ვაიცზეკერის ვაჟს ლექციის მსვლელობისას თავს დაესხნენ და მოკლეს.

ინციდენტი 19 ნოემბერს ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში მოხდა, სადაც ფრიც ფონ ვაიცზეკერი ლექციას ატარებდა. ის ამავე კლინიკის მთავარი ექიმი იყო.

სამართალდამცველების განცხადებით, თავდამსხმელისთვის წინააღმდეგობის გაწევას ლექციაზე მყოფი ერთ-ერთი პირი შეეცადა, თუმცა ბოროტმოქმედმა მასაც მძიმე ჭრილობები მიაყენა.

თავდამსხმელი დაკავებულია. მისი მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

რიხარდ ფონ ვაიცზეკერი გერმანიის პრეზიდენტის პოსტს 1984-1994 წლებში იკავებდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მონადირეს ძმა ირემში აერია და ესროლა



ამერიკის მიჩიგანის შტატის დასახლება სარანაკის მცხოვრებმა შემთხვევით საკუთარი ძმა დაჭრა, რომელიც ირემში აერია.

ძმები აიონიას ოლქში ნადირობდნენ. მათ ირემი დაჭრეს, რომელმაც თავი სიმინდის ყანას შეაფარა. ძმები გაიყვნენ, რათა ცხოველი უფრო სწრაფად ეპოვათ. 29 წლის მონადირეს სიმინდებს შორის შარიშურის ხმა მოესმა, ჩათვალა, რომ ის ირემი იყო, რომელსაც ეძებდნენ და თოფი გაისროლა.

გასროლის შემდეგ ყვირილი გაიგონა და მიხვდა, რომ ძმა დაჭრა. მან დაუყოვნებლივ სამაშველო სამსახურში დარეკა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლებმა დაჭრილ 28 წლის მონადირეს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა მძიმე, თუმცა სტაბილურია.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. მათი ინფორმაციით, ძმები გამოძიებასთან თანამშრომლობენ.

# უზარმაზარმა კობრამ პითონი გადაყლაპა



ფილიპინების კუნძულ მინდანაოზე მოკლეს უზარმაზარი კობრა, რომელმაც პითონი გადაყლაპა.

ადგილობრივებმა ქვეწარმავალი ბრინჯის ყანაში აღმოაჩინეს. მისი ყბებიდან მისი მსხვერპლის კუდი იყო გამოჩრილი, რომლის ბოლომდე გადაყლაპვა ვერ მოასწრო. მისი სიგრძე 3,6 მეტრს შეადგენდა.

ხალხმა კობრას ჯოხები დაუშინა და მანმადე ურტყამდნენ, სანამ გველი არ მოკვდა. შემდეგ მას მაჩეტეში მუცელი გაუფატრეს და შიგნით სხვადასხვა შეფასებით 2,4-დან 3,3 მეტრამდე სიგრძის პითონი აღმოაჩინეს.

ამ ადგილებში უამრავი გველია, მაგრამ კობრა, რომელმაც პითონი გადაყლაპა, პირველად ვნახეთ, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა, – ჩვენთან იყო შემთხვევები, როდესაც კობრას ნაკბენისგან ადამიანი დაიღუპა, ამიტომ ჩემმა თანასოფლელებმა ის მოკლეს, როგორც კი დაინახეს.

# ძაღლმა უზარმაზარ ბუღას აჯობა და გააგდო



ინდოეთის კარნატაკას შტატში ვიდეოზე გადაიღეს შინაური ძაღლისა და გაურას ჯიშის ბუღას დაპირისპირება.

გვიან ღამით ყავის პლანტაციის მფლობელი ბენკატეში სახლში საკუთარი ჯიპით ბრუნდებოდა. მას თან ახლდა მისი ძაღლი, სახელად ატომი. მოულოდნელად ვიწრო გზა მათ უზარმაზარმა გაურამ გადაუღობა. ის ჯიუტად იდგა გზაზე და მის განთავისუფლებას არც კი ფიქრობდა.

ამ დროს ატომი მანქანიდან გადახტა და ცხოველს შეუტია. მიუხედავად იმისა, რომ პატრონი მას თავისთან უხმობდა, ძაღლი გაურას უყეფდა და ფეხებზე კბენას ცდილობდა. საბოლოოდ მან ცხოველს უკან დაახევინა და გააქცია.

აღსანიშნავია, რომ გაურები ნამდვილი ბუღების ყველაზე მსხვილი წარმომადგენლები არიან. მათი სიგრძე სამ მეტრს, ხოლო სიმაღლე მხრების დონეზე 2,5 მეტრს აღწევს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

ლ კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკაველობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველო მსოფლიოს ჩემპიონს შეხვდება



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2020 წლის 18 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას ეწვევა და ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. ინფორმაცია სამხრეთ აფრიკის ნაკრების ვებგვერდმა დაადასტურა. „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკაში ისტორიაში პირველად ითამაშებენ. გეტყვით იმასაც, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ივლისში 3 სპარინგს გამართავენ, საქართველომდე 2 ტესტმატჩი შოტლანდიასთან 4 და 11 ივლისს ექნებათ.

საქართველოს ნაკრებს სამხრეთ აფრიკასთან აქამდე ერთხელ უთამაშია. 2003 წლის მსოფლიო თასზე, სიდნეიში „ბორჯღალოსნები“ 19:46 დამარცხდნენ.

# შესარჩევი დასრულდა, ბოლო მონაწილეებს ერთა თასი გაარკვევს



### C ჯგუფი

**გერმანია-ჩრ.ირლანდია 6:1**

**ფრანკფურტი. კომერცბანკ-არენა**

0:1 სმიტი (7), 1:1, 2:1 გორეცკა (19, 43), 3:1, 4:1 გნაბრი (47, 60), 5:1 გორეცკა (73), 6:1 ბრანდტი (90)

ჯგუფის ერთადერთი ინტრიგა ის იყო, თუ ვინ დაიკავებდა პირველ-მეორე ადგილებს. გერმანია 2 ქულით უსწრებდა ნიდერლანდებს და საბოლოოდაც ასეთი სხვაობა დარჩა.

თუმცა, პირველი ტაიმის შემდეგ ჩრდილოირლანდიელთა ასეთი განადგურებაც არ იკვეთებოდა. კელტებმა მალევე გახსნეს ანგარიში, მაგრამ გორეცკამ შესვენებამდე წინ გაიყვანა გერმანია. შესვენების შემდეგ კი, გრანბრიმ (2), იმავე გორეცკამ და ბრანდტმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

**ნიდერლანდები-ესტონეთი 5:0**

**ამსტერდამი. იოჰან კრუიფი**

1:0 ვეინალდუმი (6), 2:0 აკე (18), 3:0, 4:0 ვეინალდუმი (66, 78), 5:0 ბოადუ (87)

ნიდერლანდებმა თითქმის მე-2 შემადგენლობითაც მარტივად იმარჯვა. გამოსარჩევია ჟორჟინიო ვეინალდუმის ჰეთ ტრიკი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 8 | 7 | 0 | 1 | 30-7 | 21 |
| 2.ნიდერლანდები | 8 | 6 | 1 | 1 | 24-7 | 19 |
| 3.ჩრ.ირლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 9-13 | 13 |
| 4.ბელარუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-16 | 4 |
| 5.ესტონეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-26 | 1 |

### E ჯგუფი

**უელსი-უნგრეთი 2:0**

**კარდიფი. სიტი**

1:0, 2:0 რემზი (15, 47)

ევროპის ჩემპიონატზე დარჩენილი ერთადერთი ვაკანტური ადგილი ამ ჯგუფს უნდა გაერკვია. ფავორიტი უელსი იყო, რომელიც შინ დაუხვდა უნგრეთს. თუმცა, ამ შეხვედრის ფინალს რამდენიმე ვერსია ჰქონდა.

უელსი მოიგებდა, ევროპის ჩემპიონატზე იყო, წააგებდა და საგზურს მეტოქეს გაატანდა, ხოლო თუ ფრედ დასრულდებოდა, ჩასაფრებული სლოვაკეთი ორივეს პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებდა.

საბოლოოდ უელსმა რემზის დუბლით მოიგო და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

**სლოვაკეთი-აზერბაიჯანი 2:0**

**ტრნავა. სიტი არენა**

1:0 ბოჟენიკი (19), 2:0 ჰამშიკი (86)

სლოვაკეთმა მისი გასაკეთებელი საქმე გააკეთა – მოიგო, მაგრამ არ ეყო და ახლა შემოვლითი გზით ეცდება ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 2.უელსი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-6 | 14 |
| 3.სლოვაკეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-11 | 13 |
| 4.უნგრეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 8-11 | 12 |
| 5.აზერბაიჯანი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-18 | 1 |

### G ჯგუფი

**ჩრ.მაკედონია-ისრაელი 1:0**

**სკოპიე. ტოშ პროესკი**

1:0 ნიკოლოვი (45)

საინტერესო იყო საქართველოს ნაკრების პოტენციური მეტოქის ნახვა. ჩრდილოეთ მაკედონიას სასწაული შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ დალაგებული გუნდი ჩანს. სულაც არ იქნება ხელწამოსაკრავი მეტოქე.

მაკედონიელებმა ნიკოლოვის გოლით მოიგეს.

**ლატვია-ავსტრია 1:0**

**რიგა. დაუგავა**

1:0 ოშსი (65)

აქამდე უქულოდ მყოფმა ლატვიამ ბოლოს გაისროლა და გვარიანი სენსაციაც გამოაცხო. ბალტიისპირელებმა ოშსის გოლით მოიგეს.

**პოლონეთი-სლოვენია 3:2**

**ვარშავა. ნაროდოვი**

1:0 შიმანსკი (3), 1:1 მატავჟი (14), 2:1 ლევანდოვსკი (54), 2:2 ილიჩიჩი (61), 3:2 გორალსკი (81)

გაძევება: კურტიჩი (86, სლოვენია)

არც ეს შეხვედრა წყვეტდა რამეს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მოედანზე ლაღი ბურთაობა გაჩაღდა და ეს გოლებშიც გამოიხატა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პოლონეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 18-5 | 25 |
| 2.ავსტრია | 10 | 6 | 1 | 3 | 19-9 | 19 |
| 3.ჩრ.მაკედონია | 10 | 4 | 2 | 4 | 12-13 | 14 |
| 4.სლოვენია | 10 | 4 | 2 | 4 | 16-11 | 14 |
| 5.ისრაელი | 10 | 3 | 2 | 5 | 16-18 | 11 |
| 6.ლატვია | 10 | 1 | 0 | 9 | 3-28 | 3 |

### I ჯგუფი

**ბელგია-კვიპროსი 6:1**

**ბრიუსელი. მეფე ბოდუენი**

0:1 იოანუ (14), 1:1 ბენტეკე (16), 2:1, 3:1 დე ბრიუნე (35, 41), 4:1 კარასკო (44), 5:1 ხრისტოფორუ (51სკ), 6:1 ბენტეკე (67)

ბელგიამ ჯგუფში ყველა მატჩი მოიგო, თანაც ყველა დამაჯერებლად. მარტო ბურთების შეფარდებას რომ გადახედოთ, ფენომენალური მაჩვენებელია – 40:3.

ბენილუქსელები ევროპის ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტები იქნებიან.

**სან მარინო-რუსეთი 0:5**

**სარევალე. ოლიმპიკო**

0:1 კუზიაევი (3), 0:2 პეტროვი (19), 0:3 ა.მირანჩუკი (49), 0:4 იონოვი (56), 0:5 კომლიჩენკო (78)

რუსეთის ნაკრებმა ეს შესარჩევი კარგად ჩაატარა. მხოლოდ ბელგიასთან დათმო 2 მატჩი. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატზე მათგან სენსაციას უნდა ველოდოთ.

**შოტლანდია-ყაზახეთი 3:1**

**გლაზგო. ჰემპდენი**

0:1 ზაინუტდინოვი (34), 1:1 მაკგინი (48), 2:1 ნეისმიტი (64), 3:1 მაკგინი (90)

შოტლანდიამ ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავა. თუმცა, ამის გაკეთება ბრძოლაში მოუწია. არადა, ფავორიტად მიიჩნეოდნენ ბელგიელების შემდეგ.

სქოთებს ისღა დარჩენიათ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად შემოვლითი გზით, ერთა თასით იბრძოლონ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 10 | 10 | 0 | 0 | 40-3 | 30 |
| 2.რუსეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 33-8 | 24 |
| 3.შოტლანდია | 10 | 5 | 0 | 5 | 16-19 | 15 |
| 4.კვიპროსი | 10 | 3 | 1 | 6 | 15-20 | 10 |
| 5.ყაზახეთი | 10 | 3 | 1 | 6 | 13-17 | 10 |
| 6.სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 1-51 | 0 |

ევროპირველობის საგზური ბელგიამ, იტალიამ, რუსეთმა, პოლონეთმა, უკრაინამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, თურქეთმა, ინგლისმა, ჩეხეთმა, შვედეთმა, ფინეთმა, გერმანიამ, ჰოლანდიამ, ხორვატიამ, ავსტრიამ, პორტუგალიამ, შვეიცარიამ, დანიამ და უელსმა მოიპოვეს.

კიდევ 4 გუნდი მარტში გაირკვევა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ხორვატები საქართველოზე: „დრო ტყუილად დავკარგეთ“

**ხორვატია-საქართველო 2:1**

**პულა. ალდო დროსინა**

0:1 პაპუნაშვილი (19), 1:1 კაშია (25სკ), 2:1 პერიშიჩი (53)

ხორვატია: კალინიჩი (სლუგა 46), მელნიაკი, სკორიჩი, იედვაი (კალეტა-ცარი 46), ბარტოლეცი (იურანოვიჩი 46), კოვაჩიჩი (ვლასიჩი 65), ბადელი, პაშალიჩი (პერიჩი 75), პერიშიჩი, ორსიჩი (როგი 46), რებიჩი

საქართველო: მაკარიძე, კაკაბაძე (შენგელია 39), კაშია, ხოჭოლავა (გრიგალავა 80), ნავალოვსკი, გვილია (ქვილითაია 83), აბურჯანია, ჯიღაური, პაპუნაშვილი (კიტეიშვილი 65), ყაზაიშვილი (ხარაიშვილი 88), ლობჟანიძე (არაბული 50)

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა წლის ბოლო მატჩი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან, ხორვატიის ეროვნულ ნაკრებთან გამართა. ორივე მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობა გადაახალისა და ბევრ ისეთ მოთამაშეს მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებიც ეროვნული ნაკრების ძირითად თერთმეტეულში იშვიათად ხვდებიან.

თამაში გახსნილი და სანახაობრივი გამოვიდა, მომენტები კი ორივე კართან მრავლად შეიქმნა. ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი ჰქონდა ჯიღაურს, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან თითქმის ცარიელ კარში არაზუსტად დაარტყა. ამ ეპიზოდში, აღსანიშნავია კაკაბაძის ჩინებული მოქმედება ფლანგზე და ზუსტი პასი კარის წინ.

საქართველოს ნაკრები თამამად თამაშობდა, რაც მე-18 წუთზე გოლით დაფასდა, თავი კი პაპუნაშვილმა გამოიჩინა. საქართველოს ნაკრების შემტევს იდეალური დარტყმა არ გამოუვიდა, თუმცა კალინიჩი შეცდა და ბურთი კარში აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, ხორვატებმა მალევე გაათანაბრეს ანგარიში, გოლი კი საკუთარ კარში გურამ კაშიამ გაიტანა. მასპინძელთა სასარგებლოდ სტანდარტული დაინიშნა, საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ კი ბურთს მიმართულება კაშიამ შეუცვალა.

მალევე კაკაბაძემ ტრავმა მიიღო, შესაცვლელი გახდა და ვაისმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა. დაცვის მარჯვენა ფრთაზე ჯაბა ჯიღაურმა დაიწია, მარცხენა გარემარბის პოზიცია შენგელიამ ჩაიბარა, რომელიც უფრო მარჯვნივ თამაშობს. ვერ დავიჩემებთ ვაისზე უკეთეს მწვრთნელობას და ფეხბურთის ცოდნას, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მოედანზე ხარაიშვილი გაეყვანა, რომლისთვის მარცხენა ფლანგი უცხო არ არის.

მე-2 ტაიმში მასპინძლები უკეთ ათამაშდნენ და მოედანზე ვითარებას აკონტროლებდნენ, რასაც მალე გოლი მოჰყვა: ხორვატებმა მარჯვენა ფრთიდან განავითარეს შეტევა, საჯარიმოში ჩაწოდებას კი პერიშიჩის ზუსტი თავური მოჰყვა.

ხორვატებს მალევე შეეძლოთ მე-3 გოლის გატანა, როდესაც იმავე პერიშიჩმა ახლო მანძილიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთი კი ძელს მოხვდა.

სულ ბოლოს მომენტი ჩვენც გვქონდა – კიტეიშვილმა ძლიერად დაარტყა კარისკენ, მაგრამ ბურთი კარის წინ მდგარ ბადელს მოხვდა და მატჩიც დასრულდა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– საინტერესო ამხანაგური შეხვედრა გამოვიდა, მაღალი დონის მეტოქე გვყავდა. ხორვატიას ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშე ჰყავს, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ფეხბურთს თამაშობენ. თამაში კარგად დავიწყეთ, გოლიც გავიტანეთ, თამაშსაც ვაკონტროლებდით, მაგრამ 2 გოლი



გავუშვით და დავმარცხდით. პირველ ნახევარში ჯიღაურს ჰქონდა გოლის გატანის 100 პროცენტიანი შანსი, 2-3 მომენტი მე-2 ტაიმშიც გვქონდა, მაგრამ ვერ გავიტანეთ და ხორვატიამ მოიგო. ვფიქრობ, რომ შეტევაში ცოტა გამოცდილება და ხარისხი დაგვაკლდა და ამიტომ დავმარცხდით.

**ზლატკო დალიჩი:**

– კარგია, წლის მოგებით დასრულება. ვფიქრობ, თამაშით კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ბევრი კარგი რამ მოხდა და დავინახეთ. პერიშიჩმა და რებიჩმა სრულად ითამაშეს, მაშინ, როცა კლუბებში პრაქტიკა საერთოდ არ აქვთ. ბევრი შანსი შევქმენით და ეს კარგია. იმედი მაქვს, რომ ვლაშიჩისა და იურანოვიჩის ტრავმები არ არის სერიოზული. ჩემი აზრით, ამ უქმეებზე ისინი უკვე მწყობრში იქნებიან. ეს წელი შეუძლებელია ამაზე უკეთესი ყოფილიყო. ევროპის ჩემპიონატზე გავედით, პრობლემები კი უმნიშვნელო გვაქვს. ევროპის ჩემპიონატის წინ ძლიერი მეტოქეები გვესაჭიროება. არ გვაქვს დრო სუსტებთან გასანიავებლად. ჩვენ გვინდა ბელგიის, გერმანიისა და იტალიის დონის მეტოქეები. მე ამას აუცილებლად მოვითხოვ. მხოლოდ ძლიერებთან მატჩებში გამოჩნდება, სად ვართ და რა შეცდომებს ვუშვებთ.

# შერმადინი და მამუკელაშვილი იგებენ



ზედიზედ მე-2, ფაქტობრივად წაგებული მატჩი შემოატრიალა გიორგი შერმადინის ტენერიფემ. ესპანურმა გუნდმა სტუმრად ლატვიაში, რიგასთან მე-4 პერიოდი 26:9 მოიგო და საბოლოოდ 68:64 იმარჯვა.

რიგელები დასკვნითი 10-წუთეულის წინ 55:42-ს იგებდნენ და დამაჯერებლადაც თამაშობდნენ, თუმცა ტენერიფეს კალათბურთელებმა თავისი კლასი მე-4 მეოთხედში გამოავლინეს და ჩემპიონთა ლიგაზე მე-6 მატჩი მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ წინა ტურში ბოლო წუთზე ესპანელები სალინის სამქულიანებით გადაურჩნენ გაზიანტეფთან წაგებას.

რიგასთან გიორგი შერმადინის მონაგარი 20 წუთში 8 ქულა (5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 6 მოხსნა, 3 პასი იყო.

ტენერიფე ექვსივე მოგებით დამაჯერებლად ლიდერობს ჯგუფს.

სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა ნცაა-ს მორიგ მატჩში სტუმრად სენტ ლუისს დამაჯერებლად, 83:66 სძლია, ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი კი შეხვედრის ბომბარდირთა შორის იყო.

ქართველმა ფორვარდმა 9-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. მამუკელაშვილი შედეგიანობის მხრივ მხოლოდ თანაგუნდელ მაილს პაუელს ჩამორჩა, რომელმაც 26 ქულა ჩააგდო.

სეტონ ჰოლს 3 მოგება და 1 მარცხი მოუგროვდა და ბიგ ისტის კონფერენციაში მე-4-7 ადგილებს ინაწილებს, მომდევნო მატჩს კი, შინ, ფლორიდასთან ჩაატარებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მოდის სამყაროს ყველაზე გავლენიანი ადამიანები დაასახელეს

სასექსის ჰერცოგინია მეგანი და მსახიობი ტიმოთი შალამე 2019 წლის მოდის სამყაროს ყველაზე გავლენიანი პიროვნებები გახდნენ. ამას ამტკიცებს საძიებო პლატფორმის ლუსტის კვლევის შედეგები. როგორც პორტალი აღნიშნავს, პრინც ჰარის მეუღლის გარდერობის დეტალებმა ინტერნეტ-აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ისინი მსგავს სამოსს ეძებდნენ, ხოლო მათ მიერ არჩეული ბრენდების ნაწარმის ფასები თვალის დახამხამებაში იზრდებოდა.

მაგალითად: მეგან მარკლზე შემჩნეული The Club Monaco-ს ფირმის კაბა ქსელში 24 საათზე ნაკლებ დროში გაიყიდა, ხოლო ჩაიდერ ძცკერმანნ-ის კოლექციის კოსტიუმებზე მოთხოვნების რაოდენობა 806 პროცენტამდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც შალამემ მოირგო.

მოდის ინდუსტრიის გავლენიანი ადამიანების რიცხვში ასევე აღმოჩნდნენ, ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ზენდაი, პოპ-შემსრულებელი ბილი აილიში, ტელევარსკვლავი კარდი ბი, სამხრეთკორეული კოლექტივის Black Pink-ის სოლისტი ლისა, მოდელი და მეწარმე კენდალ ჯენერი, რეპერი ლიზო, ბრიტანელი მომღერალი გარი სტაილზი და მსახიობი ბილი პორტერი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა თავსაბურავი; 3. სამურაების მეთაური; 4. მტრედის ბარტყი; 5. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის სახელწოდება ძველად საქართველოში; 12. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 13. ტროპიკულ წყლებში ბინადარი დიდი ფრინველი; 14. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 16. იტალიური რესტორანი; 18. ძველად სატუსაღო, დღევანდელი იმპრესიონიზმის მუზეუმი პარიზში; 20. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი.

**თარაზულად:** 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. ქართველი ფეხბურთელი თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდების კაპიტანი; 9. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი საბერძნეთში; 11. უბანი თბილისში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. ქართველი ავტომრბოლელი; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით გამოყვანილი უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. კიდული რკინიგზა; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.




შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ანექსია; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. აგენტი; 5. ვალმარტი; 7. რუხი; 11. სალიამი; 13. ბეთლემი; 15. ნიყვი; 16. გენუა; 18. ოდიში; 19. გიუმი.

**თარაზულად**: 6. ნუტრია; 8. მამლუქი; 9. კნეთელი; 10. სუფიქსი; 12. ქიმია; 14. ქიმერა; 17. იქთიოლოგი; 20. სვანეთი; 21. გვრინი; 22. შტამბი; 23. კავასაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მაჰარაჯა; 2. ოტიატრი; 3. ომანი; 4. პუშკინი; 5. სულგუნი; 10. მატაბელი; 11. მასპინძელი; 12. ლიტანია; 15. დიოსკურია; 16. არიანი; 17. ბოკერია; 20. პრუსი.

**თარაზულად**: 6. სანატორიუმი; 7. ნუსხური; 8. კაიზერი; 9. ვაზარი; 13. წიდა; 14. ყარაია; 18. პასტორალი; 19. ლორდი; 21. ბრასი; 22. დილეგი; 23. წალენჯიხა; 24. აპატრიდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 ნოემბერი

აშშ დოლარი — 2.9776

ევრო — 3.2956

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8444

100 რუსული რუბლი — 4.6667

## ამინდის პროგნოზი 21 ნოემბერი








## 20 ნოემბრიდან

მარგარეტ ტეთჩერი

როგორც თავად იტყოდა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## თბილისში გიო ხუციშვილის ქუჩა გაიხსნა




თბილისში, საბურთალოს რაიონში მომღერლისა და მსახიობის გიო ხუციშვილის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

ვასო გოძიაშვილის სახელობის სკვერის, ე.წ. წითელი ბაღის მოპირდაპირე ქუჩა უკვე გიო ხუციშვილის სახელს ატარებს.

მომღერალი და მსახიობი 56 წლის ასაკში შარშან გარდაიცვალა.

## ელდარ გეწაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან




ცნობილ ქართველ ოპერის მომღერალ ელდარ გეწაძეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

ბარიტონს თავისი სასცენო მოღვაწეობის განმავლობაში შესრულებული აქვს 45 წამყვანი პარტია. 2000-ზე მეტ გამოსვლას შორის კი 44 საპრემიერო სპექტაკლი იყო. მას შესრულებული აქვს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი კომპოზიტორების ცნობილი საოპერო არიები. მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში და არაერთი პრესტიჟული ჯილდოსა თუ პრემიის მფლობელია. იგი წლებია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და არაერთი ცნობილი მომღერალი ჰყავს აღზრდილი.

24 ნოემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ელდარ გეწაძის ვარსკვლავი გაიხსნება, მანამდე კი ოპერის მოყვარულ საზოგადოებას საშუალება მიეცემა, ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ კონცერტს დაესწროს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სუპერმოდელმა გამჭვირვალე ბლუზი შიშველ სხეულზე მოირგო



ამერიკელი სუპერმოდელი და მეწარმე კარლი კლოსი ნიუ-იორკის გუტგენჰაიმის მუზეუმში გამართულ საერთაშორისო გალა-კონცერტზე ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოჩნდა.

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე 27 წლის მოდელი სპილოს ძვლისფერ კოსტიუმში გამოწყობილია აღბეჭდილი, რომელიც დავიწროვებული შარვლისა და მოკლე პიჯაკისგან შედგება. სუპერმოდელს ასევე ეცვა გამჭვირვალე ქსოვილის ბლუზი, რომლის ქვეშ საცვლები არ ეცვა.

ამ ყველაფერს ვიქტორია სიქრეთსის ყოფილმა „ანგელოზმა“ ნაცრისფერი ფეხსაცმელი და ხასხასა წითელი ფერის პომადა შეუხამა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

21 ნოემბრისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. იმპულსურობა და აჩქარება დღეს არ გამოგადგებათ. **კურო** – თქვენს მოვალეობებს სხვას ნუ გადააბარებთ. პასუხისმგებლობა იქონიეთ და დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. სულიერი სიმტკიცე გამოიჩინეთ. ნუ მოეშვებით. **კირჩხიბი** – ზედმეტად მგრძნობიარე ბუნება ცუდ სამსახურს გიწევთ. გირჩევთ, გადაწყვეტილებები ცივი გონებით მიიღოთ. **ლომი** – ნებისმიერი საქმიანი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. პრინციპულ საკითხებზე გარშემომყოფებთან ცხარე კამათი გელით. **ქალწული** – ინტუიცია გიმახვილდებათ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ და არც ინანებთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალიან კმაყოფილი დარჩებით. ასევე გიმართლებთ შემოქმედებით საქმიანობაში. **ღრიანკალი** – სიტუაციის მოულოდნელი ცვლილება გაგაღიზიანებთ. თავი შეიკავეთ კამათისა და საქმის გარჩევებისაგან. **მშვილდოსანი** – საკუთარი პოზიცია დაიცავით. პრინციპულობა და სულიერი სიმტკიცე დღის დევიზია. **თხის რქა** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ნებისმიერი წამოწყება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – იღბლიანი პერიოდია პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კონფლიქტს ახლობლებთან. **თევზები** – სამსახურში სირთულეები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურად არ დაიტვირთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მამა შვილს ეუბნება:

– სერიოზული ურთიერთობებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ.

– კი მაგრამ, რომეო და ჯულიეტა 16 და 13 წლის იყვნენ, ერთმანეთს რომ შეხვდნენ.

– მათი რომანი სამ დღეს გაგრძელდა და ხუთი ადამიანი დაიღუპა.

●●●

წყვილი ჩაბნელებულ ქუჩაში მიდის. ამ დროს საშინელი შესახედაობის მოზრდილი ძაღლი გამოვარდა. ყმაწვილი ადგილზე გაშეშდა. გოგონა კი ეუბნება:

– ეს ჩემი მეზობლის ძაღლია, მიცნობს, ნუ გეშინია!

– მე ძაღლების არ მეშინია. საერთოდ არაფრის მეშინია! კარგად დაიმახსოვრე!

– კი, ეს უკვე შევნიშნე. მოდი, ჩემთან შევიდეთ. მშობლებს გაგაცნობ, ჩაი დავლიოთ, შარვალს გამოიცვლი...

●●●

კარზე აკაკუნებენ. კარს ბავშვი აღებს და მამაკაცი ეკითხება:

– გამარჯობა, პატარავ! მამაშენი სახლშია?

– თუ შეიძლება მითხარით, ვინ ხართ? აუცილებლად უნდა ვიცოდე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თუ საგადასახადოდან ხართ, მაშინ მამაჩემი ბოთლების შესაგროვებლადაა წასული, ჩვენთვის პურის ფული რომ იშოვნოს. თუ გურამი ბიძია ხართ, ვისი ვალიც აქვს მამაჩემს, მაშინ მამა ორი კვირის წინ დავასაფლავეთ, ხოლო თუ გივი ხართ, ვისაც მამაჩემის ვალი აქვს, მაშინ მამაჩემი სახლშია.

●●●

რადიოში გამოაცხადეს, რომ ციხიდან საშიში დამნაშავე გაიქცა და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდეს. მეორე დღეს კი ისევ აცხადებენ, რომ ყველაფერი წესრიგშია, დამნაშავე თავად დაბრუნდა ციხეში.

მიირბინეს ჟურნალისტებმა და ეკითხებიან:

– რატომ თქვით ნებაყოფლობით უარი თავისუფლებაზე?

– რა ჯანდაბად მინდა თავისუფლება! დილით სახლში შევიპარე, ცოლი კი მიყვირის, „სად დაეთრეოდი, შე მექალთანევ? რადიოში ჯერ კიდევ გუშინ საღამოს, ექვს საათზე გამოაცხადეს, რომ ციხიდან გაიქეცი!“.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მოურინიო ტოტენჰემის მწვრთნელი გახდა



ლონდონის ტოტენჰემს ახალი მწვრთნელი ჰყავს და ეს ჟოზე მოურინიოა, რომელიც 11 თვის შემდეგ ინგლისურ ფეხბურთში დაბრუნდა.

ტოტენჰემმა ცუდი შედეგების გამო მაურისიო პოჩეტინო გაათავისუფლა და მოურინიომ მისი ადგილი დაიკავა.

ჟოზემ უკვე მოაწერა 4-წლიან კონტრაქტს ხელი, რომლის მიხედვითაც მისი წლიური ანაზღაურება 15 მილიონი ევრო იქნება.

მოურინიოს ბოლო გუნდი მანჩესტერ იუნაიტედი იყო, რომელსაც ჟოზე სულ მალე დაუპირისპირდება, რადგან 5 დეკემბერს ტოტენჰემი სწორედ ამ გუნდთან გამართავს შეხვედრას.

იურგენ კლოპის აზრით, ტოტენჰემი პოჩეტინოს არასწორად მოექცა:

– მე თვითონ მწვრთნელი ვარ და ზუსტად ვიცი, რას გრძნობს პოჩეტინო ამ წუთას. მან ტოტენჰემთან ერთად ბევრს მიაღწია და ვფიქრობ, მას უსამართლოდ მოექცნენ.

## ოლივიე ჟირუ თითქმის ინტერის ფეხბურთელია



ოლივიე ჟირუს ინტერში ტრანსფერი უკვე თითქმის გადაწყვეტილი ამბავია და ჩელსი ინტერთან აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს.

ჩელსიში ჟირუს თითქმის არა აქვს სათამაშო დრო, ამიტომ მას ამ გუნდის დატოვება სურს, ხოლო ინტერი მშვენიერი ვარიანტია.

ჟირუს ტრანსფერი ინტერს 10 მილიონი ევრო დაუჯდება, რაც დღევანდელი საზომით საკმაოდ მცირე თანხაა.

ოლივიე ჟირუ ჩელსიში შარშან გადავიდა, მანამდე კი 5 წლის განმავლობაში არსენალის ღირსებას იცავდა.

## ლევანდოვსკი: „გვარდიოლასთან მუშაობა დიდი ბედნიერებაა“



მიუნხენის ბაიერნის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ ხოსეპ გვარდიოლასთან ერთად მუშაობა დიდი სიამოვნებაა და ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც გვარდიოლა ბაიერნში მუშაობდა:

– ვფიქრობ, რომ გვარდიოლა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია და მასთან ერთად მუშაობა ყოველთვის სასიამოვნო იყო. მან ბევრი რამ მასწავლა და დღემდე მისი მადლიერი ვარ.

ბაიერნში გვარდიოლამ 3 წელიწადი იმუშავა.

## პოჩეტინო შესაძლოა ბაიერნის მწვრთნელი გახდეს



ტოტენჰემიდან გაშვებული მაურისიო პოჩეტინო უგუნდოდ დიდხანს არ დარჩება და უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი სამუშაოთი მიუნხენის ბაიერნია დაინტერესებული. თუმცა მიუნხენელები სეზონის ბოლოს აპირებენ პოჩეტინოს დანიშვნას, ხოლო არგენტინელმა სპეციალისტმა შესაძლოა იქამდე გამონახოს სხვა კლუბი.

არ არის გამორიცხული, რომ პოჩეტინოს ესპანეთიდანაც დაუძახონ, სადაც ის ტოტენჰემამდე მუშაობდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გაშიშვლებული გვერდები ახალ მოდურ ტრენდად იქცა



სამოსი ღრმა დეკოლტეებით და ჩახსნილი გვერდებით, რომლებიც სხეულის გვერდით ნაწილებს წარმოაჩენს, პოპულარული მოდური ტრენდი გახდა ცნობილ პერსონებში.

ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმას. რომ ბოლო რამდენიმე თვეა ასეთი სახით გამოდიან საზოგადოებაში სხვადასხვა ღონისძიებებზე სუპერმოდელები, ბლოგერები, მსახიობები და მომღერლები.

მაგალითად, მიმდინარე წლის თებერვალში ამერიკელმა მოდელმა კენდალ ჯენერმა კინოპრემიის „ოსკარის“ ღონისძიებისთვის შავი ბრჭყვიალა კაბა შეარჩია, რომელიც მის ფეხს ბოლომდე აშიშვლებდა. თავის მხრივ ინსტაგრამ მოდელმა ტემი ჰემბროუმ ივლისში გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის ნაქსოვ თეთრ კროპ-ტოპსა და გვერდებზე შეკრულ ქვედაბოლოშია გამოწყობილი.

ბრიტანელი მოდელი შარლოტ მოსი ლონდონის მოდის კვირეულზე ჩალისფერ კაბაში გამოწყობილი გამოჩნდა, რომელიც ორი ვერტიკალური ქსოვილის ნაჭრისგან შედგებოდა და მუცელსა და ზურგს უფარავდა. ისინი ერთმანეთთან გვერდებზე ვერცხლის წვრილი ჯაჭვებით იყო შეერთებული. და ბოლოს, მსახიობი ჯენიფერ ლოპესი, მან ერთ-ერთი გამოცემისთვის გამართულ ფოტოსესიის დროს მწვანე ფერის კაბა, რომელიც უფრო მოსასხამს წააგავდა, შიშველ სხეულზე მოირგო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სიმღერა აკომპანიმენტის გარეშე; 2. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი ერთეული; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 7. როკ-ანსამბლ „იუთუს“ ლიდერი; 11. ძლიერ ფეთქებადი ნივთიერება; 13. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 15. საშობაო სიმღერა; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. კამეჩის ან ძროხის ტყავისგან დამზადებული წყლის ან ღვინის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. სალამანდრასნაირთა ოჯახის წყალხმელეთა ცხოველი; 9. ეკლესია თბილისში; 10. საპატიო თანხლება; 12. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 20. ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. თერმომეტრის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*